სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი 13 ივნისი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოსაწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 121 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 121

ქვრივი სერმილო ალმასხანის ასული ჩხაიძისა, შვილები: მღვდელი ეპიფანე, არონი, აფთონი, ანტონი, შვილის-შვილები: გიორგი, შალვა და ნოე ჩხაიძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასი მღვდლის

სილიბისტრო ჩხაიძის

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება სოფელ აცანაში 13 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე. პანაშვიდი ყოველ-დღე საღ. 7 საათზე. განსაკუთრებული მოწვევის ბარათები არავის არ მიუვა. 2—2

ივანე (ვანო) სოლომონის ძე ჯაფარიძე შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს 13 ივნისს (ახალი სტილით) კუკიის წმინდა ნინოს ტაძარში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის დაუვიწყარი ქალიშვილის

თ ი ნ ა ს

სულის მოსახსენებლათ. 2—2

თავზარდაცემულნი: მეუღლე ოლღა, შვილები: მიხეილი და სონია, და-ძმანი: ლიზა და ვასილი, რძლები: დარიკო და ანნა ხერხეულიძენი, სიძე ილ. დავითაშვილი, სიდედრი მარიამი, ცოლის და ძმა ანნა და კოტე კევლიშვილი, მეუღლე ტასოთი, ქვისლები კ. ელიოზიშვილი და კ. მგალობლიშვილი მეუღლე ანეტათი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელის

საშა (ზურაბ) დიმიტრის ძის ხერხეულიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება (ნაძალადევი, პარაგვსკი ქუჩა 27) ხუთშაბათს, დილის 10 საათზე, დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.

## ისევ საზღვრებზე

საზღვრების გადამიჯვნას ჯერ კიდევ ამიერ-კავკასიის სეიმის არჩევამდე შეუდგენ მაშინ ამ მიზნისთვის არჩეული იყო შერეული კომისია სამი უმთავრესი ერების წარმომადგენლებისაგან: ქართველების, მუსულმანების და სომხებისაგან.

ამიერ-კავკასიაში მრავალი ერი და ტომი მოსახლეობს; მაგრამ ცოტათ თუ ბევრათ მოზრდილი ერი, რომელსაც დღეს-დღეობით სახელმწიფოებრივი ცხოვრება შეუძლია, ეს სამი ერია—სომხობა, ქართველობა და მუსულმანობა. სხვებს, როგორც არის, მაგალ., ამიერ-კავკასიის რუსობა, არ აქვს განსაზღვრული, ერთობლივი ტერიტორია.

სამ აღნიშნულ ერთაგან ყველაზე კარგ პირობებში ამ მხრით ქართველობაა, რომელსაც მჭიდროთ აქვს დაჭერილი ქუთაისის გუბერნია და თითქმის მთელი თფილისის გუბერნია. უფრო ცუდ პირობებში იმყოფებიან მუსულმანობა და სომხობა, რომელნიც ერთმანეთში არიან არეული. რამდენიმეთ ამ ბედში ქართველობაც არის. ის არ წარმოადგენს ერთს მთელს ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში, ან ძველი მესხეთ-ჯავახეთში და ბორჩალოს მაზრაში და ზაქათალის ოლქში.

ამიერ-კავკასიის მთლიანობის დარღვევის შემდეგ დავა საზღვრებზე სომხებსა და მუსულმანებს შორის ჩვენ აღარ შეგვეხება. მაგრამ ჩვენსა და სომხებს შორის ეს დავა უეჭველათ ატყდება. რომელი პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ დავის გადაჭრის დროს?

არსებობს ორი მთავარი პრინციპი: რეალურ მოსახლეობის და ისტორიული. სანამ ამიერ-კავკასია ერთს მთლიანს და დამოუკიდებელს რესპუბლიკას შეადგენდა ჩვენ რეალურ პრინციპს ვადექით. სხვაგვარათ არც შეიძლებოდა. რეალური მოსახლეობის პრინციპით ხელმძღვანელობა ნიშნავს ქვეყნის ისეთს ერთეულებათ დანაწილებას, რომელიც იმდენ ყურადღებას არ აქცევს არც ეკონომიურს და არც სტრატეგიულს მხარეებს. მართლაც მთლიან ამიერ-კავკასიას ხომ ერთი ეკონომიური პოლიტიკა ექნებოდა და ერთი საერთო საზღვარი. ამიტომ ამ სახელმწიფოში მოსაზღვრე სამს ერთს გადამიჯვნა უნდა მოეხდინა ეროვნულ-კულტურული ინტერესების მიხედვით და, ვინც სად მოსახლეობდა, ეს იქნებოდა მისი ტერიტორია.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დაშლამ საქმე სულ სხვაგვარათ შეატრიალა და ამ შეცვლილ გარემოების მიხედვით ჩვენც იძულებული ვართ მარტო რეალურ მოსახლეობის პრინციპს არ დავეყრდნოთ. დღეს ჩვენც ცალკე სახელმწიფოს წარმოვადგენთ. საქართველოს რესპუბლიკა თუმცა პატარაა, მაგრამ მაინც სახელმწიფოა, რომელიც დაინტერესებულია თავისი საზღვრები დაიცვას და შექმნას ისეთი ფინანსიურ-ეკონომიური მდგომარეობა, რომ ერს ცხოვრება შეეძლოს. ამისთვის საქართველოს რესპუბლიკა ვალდებულია გაითვალისწინოს ჩვენი ქვეყნის მომავალი ბედი, არ უნდა დაივიწყოს ომის შესაძლებლობა. უნდა ითქვას, რომ გეოგრაფიულ პირობების მიხედვით ჩვენმა წინაპრებმა ამ მხრით უკვე შექმნეს ერთგვარი სტრატეგიული რკალი, რომელშიაც საქართველო მოაქციეს. ისტორიიდან ვიცით, რომ ყოფილა ეპოქები, როცა საქართველოს ძალა-უფლება ვრცელდებოდა მთელს იმ ტერიტორიაზე, რომელიც შავსა და კასპიის ზღვებს შორის იყო გადაჭიმული. ჩვენ ასე შორს, რასაკვირველია, არ მივდივართ. მაგრამ ერთგვარი ისტორიული მინიმუმი მაინც უნდა დავიცვათ, რამდენათ ამას სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს. ასეთი მინიმუმია თფილისის გუბერნია და საინგილო ან ზაქათალა; აღნიშნული მოხაზულობა აუცილებლათ საჭირო იყო და არის აგრეთვე ჩვენი ეკონომიური წარმატებისათვის. თუმცა უმთავრესი ყურადღება ჩვენ უნდა მივაქციოთ სტრატეგიულ მდგომარეობას. ჩვენ რომ მარტო რეალურ მოსახლეობის პრინციპი მივიღოთ, მაშინ ერთობ ახლოს დარჩება ჩვენი დედაქალაქი თფილისი გარეშე სახელმწიფოს საზღვრიდან და მისი დაცვის საქმე მუდამ საფრთხეში იქნება. ჩვენ რომ საქმე გვქონდეს მარტო სომხეთის და ადერბეიჯანის რესპუბლიკებთან, რასაკვირველია, დიდ შიშს კიდევ არ ექნებოდა ადგილი, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ოსმალეთის ულტიმატუმის მიღებით სომხეთი, როგორც სახელმწიფო, არარათ იქცა, სამაგიეროთ გაძლიერდა ოსმალეთი და შემდგომ ადერბეიჯანი, რომელიც ოსმალეთს ეთერთდება. ამის ცხადი ნიშნები უკვე არის: განჯაში და ზაქათალაში დღეს ოსმალეთის დროშა ფრიალებს. ასეთს პირობებში რეალურ მოსახლეობის პრინციპით ხელმძღვანელობა ერთავათ ოსმალეთის ხელში ჩაგვყრიდა. ჯავახეთმა უკვე იგემა ოსმალეთის რეჟიმი და დღეს ჯავახელი ქართველები ბორჯომ-ბაკურიანის ტყეებში არიან შეფარებული. ასეთივე იქნება ჩვენი ბედი ოსმალეთის სიახლოვის გამო. და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი მეზობელი—სომხები და მუსულმანები აღნიშნულ გარემოებას სათანადო ანგარიშს გაუწევენ და მორიგება საზღვრების შესახებ ადვილათ მოხდება.

ჩვენს ტერიტორიაზე მოსახლე დემოკრატია—ქართველი იქნება ის თუ სომეხი ან თათარი დაინტერესებული უნდა იყოს საქართველოს ისტორიულ საზღვრების აღდგენით, რადგან ეს იქნება საერთო დემოკრატიულ საქმის წარმატება. თუ მართალია ის, რომ სხვა ერებს ძველათაც არ ავიწროებდენ ჩვენი წინაპრები, მით მეტი გარანტია ექნებათ ამ ერებს იმ შემთხვევაში, თუ კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაზღვეული იქნება ოსმალეთის შემოსევისაგან.

## პრესა

გაზეთი „საქართველო" საზღვრების გამიჯვნასა და კერძოთ საინგილოს შესახებ სწერს:

„სოციალისტური პარტიები საქართველოს ტერიტორიის საკითხს სწყვეტდნენ ეგრედ წოდებული რეალურ მოსახლეობის პრინციპით, მათის რწმენით, ასეთი გადაჭრა საზღვრების გადამიჯვნის საკითხისა უფრო რეალურათ დემოკრატიული და სამართლიანია. ამისი მოწინააღმდეგე შეხედულება საზღვრებისა და ტერიტორიის საკითხის გადაწყვეტაში ხელმძღვანელობს ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიური და სტრატეგიული მოსაზრებით. შეიძლება, პირველი საზომი უფრო „სამართლიანი" იყოს, მაგრამ მისი განხორციელება მოითხოვს სწორედ საყოველთაოდ სამართლიანობის დამყარებას; ჯერ ხანობით კი, ვინაიდან სახელმწიფოთა ურთიერთობა აგებულია ისეთ სისტემაზე, რომელიც მოითხოვს შეიარაღებულ რეგულიარულ ძალის შენახვას და ციხე-სიმაგრეების აღებას, ჩვენ მოვალენი ვართ შესაფერი ზომები მივიღოთ და უკიდურეს ღონისძიებასაც კი მივმართოთ, რათა ჩვენს სახელმწიფოსა და ერს მივსცეთ საშუალება დაუბრკოლებელი განვითარებისა და წინსვლისათვის".

სრული სიმართლეა ... დასკვნა, მაგრამ როგორც ყოველგან, ისე აქაც „საქართველო" ერთს დიდ სიყალბეს მიმართავს მკითხველის შეცდომაში შესაყვანათ: საკუთარ მრუდე შეხედულობების მატარებლათ ჩვენ გამოგვყავართ.

[illegible]

სანამ ჩვენ კულტურულ ერთეულის შექმნას ვცდილობდით, რასაკვირველია რეალურ მოსახლეობის პრინციპით უნდა გვეხელმძღვანელნა. დღეს კი დამოუკიდებელი სახელმწიფო გვაქვს და, ცხადია, სტრატეგიულ-პოლიტიკურ მოსაზრებებს უნდა დავეყრდნოთ. იმედია, აქაც კვეხნას მოყვება „საქართველო", იტყვის: ჩვენ თქვენზე ადრე მოვითხოვდით საქართველოს დამოუკიდებლობასო. მართალია გაზეთ „საქართველო"-ს მწერლები და მათი ამყოლდამყოლნი ხშირათ ახსენებდენ საქართველოს და მის სადღეგრძელოსაც კი მუდამ სვამდენ, მაგრამ საქმით რუსეთის თვითმპყრობელობის წინაშე მუცლით ხოხავდენ. ქართველი დემოკრატია კი ამ დროს რუსეთის დემოკრატიასთან ერთად იბრძოდა ერის გასათავისუფლებლათ. დღესაც საქართველოს დამოუკიდებლობის ერთად ერთი ჭეშმარიტი დამცველი ქართველი დემოკრატიაა და არა ნაციონალ-დემოკრატები, რომელნიც სანამ მამალი ორჯელ იყივლებდეს, სამჯერ იტყვიან უარს თავის სამშობლოზე.

* * *

ნაციონალ-დემოკრატებს დიდი სურვილი აქვთ რევოლიუციის დასამარების. უნდა ითქვას, რომ მათის აზრით, ახლა საუკეთესო დროა ამისთვის. ერთის მხრით ოსმალეთი, მეორე მხრით ძლიერი გერმანია. უკრაინაში ხომ აღადგინეს გერმანელებმა ძველი რეჟიმი, მიწებიც დაუბრუნეს მემამულეებს და აბა, როგორ არ უნდა აუტოკდეს გული ეროვნულ დემოკრატებს. მათ აწუხებთ ერთი რამ: უკრაინაში სულ სხვა პირობები იყო, საქართველოში კიდევ სხვა და ტყვილა ფიქრობენ ეროვნული დემოკრატები, რომ გერმანია თავადების გულის მოსაგებათ ყურს მიუგდებს ნაციონალ დემოკრატების ფუჭის ხმას. ეს მით უმეტეს, რომ ჩვენი დემოკრატია რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე რეგულარათ იცავს ჩვენში წეს რიგს. „საქართველო" ტყვილა იჯღჯება და თავისი ბინძური კალმით ამაოთ ცდილობს დემოკრატიის გაბიაბრუებას. კერძოთ ის ირაკლი წერეთელს სიტყვა-ტიურათ ნათლავს დემოკრატიულ ორგანიზაციების მესაფლავეს სახელით. ასეთს თავზეხელაღებულს თვით პურიშკევიჩიც კი არ მისცემდა არასოდეს. მან იცოდა ბრძოლა, მაგრამ იცოდა მოწინააღმდეგის პატივისცემაც.

ჩვენი ეროვნული დემოკრატები კი ისე დაეცენ ზნეობრივათ, რომ არავითარ ხერხებს და ფაქტების გადამახინჯებას არ ერიდებიან. მაგალითისთვის აიღეთ ვინმე ლ. ჯაფარიძის წერილი სათაურით „პოლიტიკური მესაფლავე". ეს ბატონიც იმეორებს რა „საქართველოს" მიერ გაზეპირებულ სიტყვებს—წერეთელმა დემოკრატია დაასაფლავაო, წითელ გვარდიასაც ეხება და ასე ახასიათებს მის დამოკიდებულებას ჯართან:

„ეროვნულ მთავრობას ჰყავს საკუთარი ჯარი, მისი ხელმძღვანელი მთავარი შტაბი და მთავარსარდალი.

გენერალური შტაბის გენერალი კვინიტაძე.

საბჭოს მთავრობასაც ჰყავდა თავისი ჯარი:

წითელი გვარდია, მთავარი შტაბი ამ გვარდიისა და მთავარსარდალი: —

სტუდენტი ვალიკო ჯუღელი.

კვინიტაძის შტაბში სხედან გენერლები, აფიცრები და საზოგადოდ სამხედრო საქმის სპეციალისტები.

ჯუღელის შტაბში ისხდნენ:

ლახოიანი...

ვარდოიანი...

აუშტროვი...

სივენკო და

კაპთაძე.

რა დამოკიდებულება იყო, ამ ორ ჯარს შორის ერთმანეთში?

არაფითარი.

ეროვნული ჯარი ემორჩილება თავის შტაბს და გვარდიაც საკუთარს, მხოლოდ ხანდახან იბრძვიან, ან უკეთ რომ ვსთქვათ უკან იხევდენ გვერდით.

ერთი სიტყვით მოქმედებდენ როგორც მოკავშირეთა ჯარები.

უფრო ნაკლებ.

მოკავშირენი ერთმანეთს ითმენენ, მხოლოდ ესენი კი ერმანეთზე ღმუოდენ.

ჯარს ეგონა, რომ გვარდია აფუჭებს საქმეს.

გვარდიას ეგონა, რომ ჯარი აფუჭებს საქმეს.

რომელია მათში მართალი ვისაც უნდა იმან განსაჯოს, მაგრამ მე ვიცი, რომ კვინიტაძის ჯარს არ ჰქონდა არც თოფი, არც ცხენი და არც ფული.

ჯუღელის ჯარს თოფიც ჰქონდა, ცხენიც და ფულიც.

კინაღამ მიიღო ხუთი მილიონი, რომელიც მისმა შტაბმა გამოიანგარიშა თავის საჭიროებისთვის, რომ ახვეღდოვს არ დაჰკლებოდა ტყვიის-მფრქვეველების საწყობში ტყვიის-მფრქვეველები, რომ

პანჯავიძეს საკმაოდ ჰქონოდა იარაღი და გოგინოვს—სურსათი.

ეხლა უთუოდ ეს ფული რესპუბლიკის ჯარს მოხმარდება. მაგრამ უწინ ეს ასე იყო და ესე ნუღარ იქნება".

ამ ამონაწერს განმარტება არ ესაჭიროება: მკითხველი თითონაც ადვილად გაიგებს ქართველ შავრაზმელების სულისკვეთებას.

## ხელშეკრულობის განმარტება

ბ-ნი კ. თუმანიშვილი გაზეთ „ვოზროჟდენიის" ფურცლებზე არჩევს ჩვენ ხელშეკრულობას ოსმალეთთან. სამართლიანათ შენიშნავს, რომ ზოგიერთი მუხლი ბუნდოვანია და სცდილობს განუმარტოს მკითხველებს ეს ბუნდოვანი მუხლები. თავდაპირველათ ის ეხება „ბანდებს", რომლის დაშლას თხოულობს ოსმალეთი. თუმანიშვილის აზრით, ბანდებათ იგულისხმება ჩვენი წითელი გვარდია. საბუთი? გერმანია თავის სამხედრო რელიაციებში რუსეთის საბჭოების ჯარებს „ბანდებათ" სთვლიდათ. თუ ავტორს ობიექტივობა აინტერესებდა, თუნდაც ფორმალურათ, უნდა ეთქვა, თუ როგორი რელიაციას იძლეოდა ოსმალეთის მთავრობა ჩვენი ჯარების (სადაც წითელი გვარდიაც შედიოდა) შესახებ. ჩვენ არ გვაქვს ცნობა, რომ ოსმალეთი ოფიციალურათ ჩვენს წითელ გვარდიას ბრბოებათ სთვლიდეს. თუ ამის შესახებ კიდევ შეიძლება კამათი, სრულებით მიუღებელია ბ-ნი თუმანიშვილის მეორე დებულება. მისი აზრით „ინტელექტუალური" მეგობრობა ჩვენ და ოსმალეთს შორის გულისხმობს მის ჩარევას ჩვენ შინაურ საქმეებში. რა თქმა უნდა, ამბობს თუმანიშვილი, ეს მუხლი ეხება ჩვენს სოციალური კანონმდებლობის დარგს.

უნდა გამოვტყდე, მე პირველათ ვკითხულობ გამოცდილი ჟურნალისტის წერილს, რომელიც ეხება საერთაშორისო ხელშეკრულობას და ყოველივე ბუნდოვან მუხლებს უცხო სახელმწიფოს სასარგებლოთ მარტავს. მე შემხვედრია სოფლებში მობალშევიკო ჯარისკაცები (ასეთი მახინჯები ყველა ქვეყნებში მოიპოვება), რომელნიც ერთა თვითგამორკვევის პრინციპის თანახმათ ბათუმს ოსმალეთს უთმობდენ. ბ-ნი თუმანიშვილი „ინტელექტუალურ" მეგობრობას მიწის კანონთ ნ „მეგობრობათ" სთვლის. არც ერთ ჩვენს ორგანოს ასეთი განმარტება არ მიუცია და ვერც მისცემდა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ კონსტანტინოპოლის კონფერენციაზე ზოგიერთი ბუნდოვანი მუხლები უნდა მოისპოს. თუმც უნდა გადაჭრით ვსთქვა, რომ სიტყვა „ინტელექტუალური" და სოციალური არავის არ გაუთანასწორებია. ეს მცნებები არია ბ-ნმა თუმანიშვილმა. რატომ მოუვიდა მას ასეთი მარცხი? იმედია თვითონ მისცემს მკითხველებს განმარტებას.

ბიქტორ თევზაია.

## სამიწადმოქმედო სამინისტროს განმარტება

თფილისის საგუბერნიო საადგილ მამულო გამგეობის შეკითხვაზე საადგილ-მამულო რეფორმასთან შეკავშირებულ ზოგიერთ სადავო საკითხების შესახებ სამიწ.-მოქმ. სამინისტრო იძლევა შემდეგ განმარტებას:

1) მამულების მიმღებ კომისიის მუშაობის შესახებ ინსტრუქციის ძალით მემამულეებსა და მცხოვრებლებს უნდა ეცნობოს ა) მუშაობის გეგმის გამოქვეყნებით; ბ) მემამულეთათვის უწყების გადაცემით. როცა ეს ზომები იქნება მიღებული, შემდეგ თითონ დაინტერესებულმა პირებმა უნდა ადევნონ თვალყური მუშაობის შედეგებს, კერძოთ მამულების მიმღებ კომისიის დადგენილებებს. ამიტომ არც მამულების მიმღებ კომისიებმა და არც საადგილმამულო კომიტეტებმა არ უნდა გაუგზავნონ ჩამოსართმევ მამულების შესახებ შედგენილ აქტის ასლი იმ მემამულეებს, რომლებიც თავის დროზე არ გამოცხადდენ. მამულების მიმღები კომისია ვალდებულია თავისი გადაწყვეტილება აცნობოს იმ პირებს, რომლებიც დანიშნულ დროზე გამოცხადდებიან. ეს პირები, მოაწერენ რა ხელს, ჩამორთმეულ მამულების შესახებ შედგენილ აქტს, ამასთანავე ეცნობიან გადაწყვეტილების შინაარსს.

2) მამულების მიღების დროს აღძრულ ყველა საკითხების შესახებ დადგენილებები მოთხრობილია ჩამოსართმევ მამულების შესახებ შედგენილ აქტში, რომელიც ეხება ყველა ამ საკითხებს. ამიტომ არ არის საჭირო ამ აქტის გარდა კიდევ ახალი გადაწყვეტილებათა აქტის შედგენა.

3) ჩამორთმეულ მამულების შესახებ შედგენილი აქტი უნდა მიეცეს მემამულეს, თუ იგი ამას მოითხოვს.

4) კერძო ცნობა იმის შესახებ, რომ მემამულეს კიდევ სხვა ადგილას (სხვა მაზრაში ან გუბერნიაში) აქვს მამული, არ იძლევა საბუთს მამულების მიმღებ კომისიას არ დაუტოვოს მას მიწის განსაზღვრული ნორმა იმ ადგილას, სადაც მამულის ჩამორთმევა ხდება. ასეთ საბუთათ გამოდგებოდა არა კერძო ცნობა, არამედ—ოფიციალურათ დამტკიცება, ან თვით მემამულის განცხადება, რომელსაც აუცილებლათ უნდა შეეკითხონ. ამასთანავე მამულების მიმღები კომისია ვალდებულია გაიფრთხილოს მიმღები კომისია თუ სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობა იმ ადგილას, სადაც კერძო ცნობით მემამულეს კიდევ აქვს მამული, რომ ამ მემამულეს უკვე დაუტოვეს მიწის განსაზღვრული ნორმა, რომ ეს გარემოება იქონიონ მხედველობაში და არ დაუტოვონ მემამულეს მიწა რამდენიმე ადგილას. ამასთანავე ამ კომისიამ უნდა გაუგზავნოს ჩამორთმეულ მამულის შესახებ შედგენილი აქტის ასლი.

მიწათმოქმ. მინისტრი ნ. ხომერიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

12 ივნისი.

**ბერლინი.** დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის არმია. მთელი დღის განმავლობაში თოფის სროლა სომის ორივე მხრით არ შეწყვეტილა. საღამოს მოწინააღმდეგე გადავიდა იერიშზე ანკრი და სომმას შუა. ფრონტის მოწინააღმდეგის მიერ ნაწილობრივი გარღვევა მოხდა, კორბი-ბრაის გზაზე, მაგრამ ჩვენ კონტრ-იერიშით აღვადგინეთ ფრონტი. დანარჩენ ფრონტებზე მტრის შემოტევა უშედეგოთ ჩაიარა.

კრონპრინცის არმიის მოქმედება. გუშინ ჩვენ მამაცურად მოვიგერიეთ საფრანგეთის ახლად მოსულ „რეზერვების" კონტრ იერიში. მარჯვენა ფრთაზე გენერალ ფონ-უტინგენის ჯარები იცავენ ჩვენ მიერ ხელში ჩაგდებულ პოზიციებს არსენოვილის სამხრეთით ფრანგების ძლიერ კონტრ-იერიშებისაგან. გენერალ ფონ-ებერნის ჯარები განაგრძობენ ბრძოლას კურსიოლ და მერისთან. რონ-ესტრე სენდენის გზის ორივე მხრით მოწინააღმდეგემ დაიკავა სიმაღლის უკანა ფრთა, მერის აღმოსავლეთით მათ გადალახეს მტრის მეოთხე სიმაგრე და მოწინააღმდეგე არონდემდე უკუაგდეს. მიუხედავათ მტრის გაძლიერებული თავდაცვისა გენერალ-ფონ-შიდერის ჯარების ნაწილმა დაიჭირა მატცის გასავალი და შეუჩერებლივ დაიძრა ანფიელისაკენ. გენერალ გოფმანის კორპუსმა ბრძოლის შემდეგ გადალახა მოწინააღმდეგის სანგრების ქსელი ტისკურტის სამხრეთით მდებარე მაღლობებზე. წამოყვანილ ტყვეთა რიცხვი 10,000 კაცს აღემატება. ოსენ რეიმსის ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა. მტრის გაცხოველებული იერიშები შატო-ტიერის ჩრდილო-დასავლეთით მოგერიებულ იქნა დიდის დანაკლისით.

**ბერლინი.** ნუაონის ჩრდილო-დასავლეთით ფრანგების მიერ განახლებული იერიშები ჩვენ მოვიგერიეთ. მოწინააღმდეგე დიდათ დაზარალდა.

**ვენა.** იტალიის ფრონტი. პიავოს ქვედა ნაწილში მტრის ორმა თავდასხმამ უშედეგოთ ჩაიარა. ალბანიაში მორკის ჩრდილო-დასავლეთით ფრანგებმა განაახლეს იერიშები.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. 9 ივნისს საღამოს მოწინააღმდეგემ განმეორებით მოიტანა იერიშები ზღვის განაპირა ადგილებში, მაგრამ ჩვენი არტილერიის და ქვეითა ჯარის მოხერხებულმა ცეცხლის გაჩენამ მოწინააღმდეგე იძულებული გახადა შეტევა შეეჩერებია. დანარჩენ ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

**მოსკოვი.** მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების დეპ. ცენტრ. აღმ. კომ. სხდომამ 10 ივნისს დაადგინა მოიწვიოს მეხუთე მორიგი ყრილობა 28 ივნისს. წარმომადგენლების ნორმა წინანდელი რჩება, თითოეულ მაზრიდან იგზავნება 11 დელეგატი. ცენტრ. კომ. წინადადებას აძლევს ყველა საბჭოებს გაატარონ სრული სისწორით წარმომადგენლობა მშრომელი მასისა.

თავმჯდ. სვერდლოვი. მდ. ავანესოვი.

**პარიზი.** 11 ივნისი. ოფიციალური ცნობა. საფრანგეთის ჯარებმა ჯავშნიან ავტომობილების დახმარებით დღეს, ნაშუადღევს, მიიტანეს კონტრ-იერიში 12 კილომეტრის მანძილზე რუბესკურტის და სანტ მორის შუა. მიუხედავათ ნემცების სასტიკი წინააღმდეგობისა, მათ მიაღწიეს ლეფრეტუას სამხრეთ ნაწილამდე, აიღეს სიმაღლე კურსელი და მორტემორეს შუა და გადაიტანეს ბრძოლის ხაზი ორ კილომეტრით წინ მერის დასავლეთით. აგრეთვე ფრანგებმა დაიბრუნეს ბელოი, ტყე ჟენლი და მიაღწიეს სანტ მორის ჩრდილოეთ ნაწილს. დაზარალდენ რა საგრძნობლად ნემცები, დაუტოვეს ფრანგებს 1000 მეტ ტყვე და რამოდენიმე ზარბაზნები. ცენტრში ნემცები, რომლებმაც შესძლეს პირველად მიეღწიათ ლოჟე და დანტელამდე სამხრეთით, იქნენ გამოდევნილნი მოკავშირე ჯარების დახმარებით. მარჯვენა მხარეზე ნემცებმა რამოდენიმეჯერ სცადეს დაეჭირათ მეტცის ველი. მოვიგერიეთ რამოდენიმე იერიშები შავენკურტზე. ნემცებმა შესძლეს დაპყრობა მეშემონტის და ბეზანკურის, სადაც ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა. ლორსის სამხრეთით ამერიკის ჯარებმა ბრწყინვალეთ გაიმარჯვეს, დაეპატრონენ ტყე ზელას და 300-მდე კაცი წაიყვანეს ტყვეთ.

**მოსკოვი** 11 ივნისი. ყუბანის, თერგის და სტავროპოლის დეპუტატთა საბჭოებს, გადასაცემათ ეკატერინოდარის, კავკავის, სტავროპოლის, ბუგურუსლანის ოლქებს და გუბერნიებს, ასლი სტალინს. ცარიცინი. ცენტრ. აღმ. კომიტეტმა მიიღო დეკრეტი, რომლის ძალით დაუშვებელია თვითნებით ფასის აწევა პურზე არსებულ მტკიცე ფასის ზევით, აკრძალულია სახელმწიფო მონოპოლიის დარღვევა, თვითნებით შესყიდვა, დამუშავება და გატანა პურის. ყველა დეკრეტები მკაცრი ზომებით გატარებულ უნდა იქნეს ცხოვრებაში. ცენტრ. კომ. ვაკისრებთ რა სასტიკ პასუხისმგებლობას დეკრეტში ნაჩვენებ წესების დარღვევის გამო, მოგიწოდებთ სოციალისტურ რევოლიუციის სახელით მიიღოთ ზომები, რომ მხარე უზრუნველ ყოთ წესიერათ პურის მიწოდებით და გაუწიოთ ყოველივე დახმარება სახალხო კომისრის მიერ დანიშნულ რწმუნებულებს და აგენტებს ამ საქმეში. თავმჯდომარე სვერდლოვი. მდივანი ავანესოვი.

# დეპეშა

**ქუთაისი.** დასავლეთ საქართველოს საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებათა ქართველ მოსამსახურეთა კავშირის საბჭო მიესალმება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. საბჭოს მიზანია შეასრულოს თავისი მოვალეობა ხალხისა და სამშობლოს წინაშე, გამოიჩინოს თვითმოქმედება და დაეხმაროს მთავრობას ხალხის უზენაეს უფლებების განმტკიცებაში და ყველა დაწესებულებათა გაეროვნებაში.

საბჭო.

# ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია **საოლქო კომიტეტის, თფილისის კომიტეტის ს. დ. მ. პ. და ქალაქის თვითმართველობის სოციალდემოკრატიული ფრაქციის კრება,** თვითმართველობის დარბაზში. სთხოვენ ყველა წევრებს აუცილებლად დაესწრონ.

◆ **მთავრობამ ცხინვალში სამხრეთ** ოსეთის ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს ა. თიბილოვს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: საქართველოს რესპუბლიკას ცნობები მოუვიდა, რომ ბოლშევიკები ოსთა შორის აგიტაციას ეწევიან და მოუწოდებენ ცხინვალზე გამოილაშქრონ. მთავრობა წინადადებას გაძლევთ თქვენ გააფრთხილოთ მცხოვრებნი, რომ ასეთი გამოსვლა დამღუპველი იქნება მათთვის, რადგანაც ყოველი შეიარაღებული გამოსვლა აჯანყებათ ჩაითვლება და მთავრობა მას უსასტიკესი ზომებით ჩააქრობს. გაცნობებთ რა ამას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ყოველგვარ პასუხისმგებლობას იშორებს თავიდან შედეგებისას, თუ მაგვარი გამოსვლა მართლა მოხდება. წინადადებას გაძლევთ ეს აცნობოთ მცხოვრებლებს".

◆ **„პარადი".** 11 ივნისს, საღამოს 5 საათზე გოლოვინის პროსპექტზე მოხდა საქართველოს და გერმანიის ჯარებთა ნაწილების დათვალიერება. ჯარები დაწყობილი იყო სასახლიდან დიდების ტაძრამდე—ერთის მხრით გერმანიის, მეორე—მხრით საქართველოსი. 5 საათზე სასახლიდან გამოვიდენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა თავმჯდომარე ნოე რამიშვილი, გერმანიის ელჩი გრაფი შულენბურგი, სამხედრო მინისტრი გრ. გიორგაძე, გენერალ-ლეიტენანტი გაბაშვილი, ობერ ლეიტენანტი კაიზერი და ოფიცერთა ჯგუფი. მთავრობის თავმჯდომარემ დაათვალიერა ჯარები; დიდების ტაძართან ნ. რამიშვილმა გერმანიის ჯარს მიმართა სიტყვით, მიესალმა მათ მოსვლას და გამოსთქვა ის რწმენა, რომ აქ პირველ ხანში გერმანიის და საქართველოს ჯარები იქნებიან სრულ თანხმობაში ერთმანეთთან და შესძლებენ ჩვენს მხარეში წესრიგის დაცვას. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა გრაფ შულენბურგმა, რომელმაც სთქვა, რომ ამიერიდან გერმანიის იმპერიის და საქართველოს რესპუბლიკის ჯარები იქნებიან მუდმივ მეგობრულ განწყობილებაში და დაიცავენ ერთმანეთის ინტერესებს. სიტყვები დაფარა „ვაშას" და „ჰოხის" ძახილმა. ქუჩები ხალხით იყო გაჭედილი.

◆ **მთავრობის სხდომაზე** 11 ივნისს, ფინანსთა და შრომის მინისტრებს დაევალათ ჭიათურაში გაემგზავრნენ მუშებთან მოსალაპარაკებლათ და საზღვარ-გარეთ შავი ქვის გაზიდვის მოსაწყობად გერმანიის სამხედრო საელჩოს წარმომადგენლობის თანხმად.

◆ **ბათუმის ქალაქის გამგეობის წევრი** ო. მ. ლაზარევი გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: ბათუმის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეებმა, რომლებიც ამჟამათ სცხოვრობენ თფილისში, რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა აცნობონ თავისი მისამართი, თვიური ჯამაგირის რაოდენობა და ის, თუ რა სამსახურში იყო ბათუმში გამგეობის წევრს ო. მ. ლაზარევს შემდეგი მისამართით: თფილისი, ვოზნესენსკაია ქ № 24. იმ მოსამსახურეებმა, რომლებიც ცხოვრობენ თფილისის გარეთ, ასეთივე ცნობები უნდა მიაწოდონ ქუთაისის ქალაქის გამგეობის მოადგილე ვინმეცკის.

◆ **თავდასხმა და მილიციონერის მოკვლა.** ივნისის 11 ს, დილის 4 საათზე, დიღმის მინდორზე ყაჩაღები, რიცხვით ხუთი კაცი, თავს დაესხენ ეტლით მიმავალ დუშეთის მაზრის მილიციის უფროსს ჟორდანიას და მის სამ მილიციონერს, რომლებიც თფილისისკენ მოდიოდნენ. ყაჩაღებმა მოუნდომეს მათ იარაღის აყრა და აუტეხეს სროლა; მილიციონერებმაც სროლითვე უპასუხეს. სროლის დროს მოჰკლეს მილიციონერი ლადო გარაყანიძე.

◆ **სროლა.** 10 ივნისს ღამე მიხეილის და სემინარიის ქუჩის კუთხეში ჯარისკაცის ტანისამოსში გამოწყობილმა რამდენიმე პირმა სროლა ასტეხეს. მეორე დღეს დილით სემინარიის ქუჩაზე № 6 სახლის წინ იპოვეს ჯარისკაცის ტანისამოსში გამოწყობილი მოკლული უცნობი პირი.

◆ **ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირის** წევრთა საზოგადო კრება შესდგება დღეს, 13 ივნისს სახალხო უნივერსიტეტის სადგომში. კრება გაიხსნება დილის 10 საათზე. დღის წესრიგი: გამგეობის მოხსენება; სალიკვიდაციო ფულის მიცემა; გამგეობის წევრთა დამატებითი არჩევნები და სხ.

◆ **ერზერუმის სამხედრო რკინის გზის** მმართველობა აცხადებს, რომ რადგანაც რკინის გზის ლიკვიდაცია ხდება, მუშებს და მოსამსახურეებს შეუძლიათ ხელფასი ფულები მიიღონ 15 ივნისამდე, 15 ს შემდეგ სამმართველო არავითარ განცხადებას არ მიიღებს. მისამართი: სოლოლაკი, დოროჟნოვის ყოფილი მაღაზიის შენობა.

◆ **ბორჯომის რაზმის უფროსად გენერალ** არჯევან ძის მაგიერათ გენერალი მაყაშვილი დაინიშნა.

◆ **ახალქალაქში გაიგზავნენ საქართველოს,** ადერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკის დელეგაცია ოსმალებთან მოსალაპარაკებლათ ახალქალაქის მაზრაში ადგილობრივ ქრისტიან მცხოვრებთა დაბრუნების შესახებ.

◆ **ბათუმის ყოფილი ქალაქის თავი** კ. ბ. საბახტარაშვილი საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგათ დაინიშნა.

◆ **სოხუმის ოლქში** და სამურზაყანოს რაიონში ანარქიასთან მებრძოლ ძალების მოსაწყობათ და სახელმძღვანელოთ მთავრობამ გ. ანჯაფარიძე და ის. რამიშვილი გაგზავნა.

◆ **ახალი კონფერენცია.** სულ მოკლე ხანში სტამბოლში შესდგება კონფერენცია ერთის მხრივ გერმანიის ოსმალეთის, ავსტრო-უნგრეთის და ბულგარეთის და მეორის მხრით სომხეთის, ადერბეიჯანის, საქართველოს და ჩრდილო კავკასიის მთიელთა წარმომადგენლებისა. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ოსმალეთის მთავრობისგან წინადადება მიიღო ხსენებულ კონფერენციაზე საქართველოს რესპუბლიკის დელეგატები გაგზავნოს კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად. დელეგატები სტამბოლში დღეს მიემგზავრებიან. ასეთივე წინადადება მიიღეს სომხეთა და მაჰმადიანთა ეროვნულმა საბჭოებმა.

◆ **მთავრობის ცნობა.** საქართველოს მთავრობა მცხოვრებთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ თფილისში ჩამოსული გერმანელთა ჯარი თვით საქართველოს მთავრობამ მოიწვია. გერმანელთა ჯარის ჩამოსვლის მიზანია საქართველოს მთავრობის სრული თანხმობით და მისი ჩვენებით დაიცვას საქართველოს საზღვრები. ამ ჯარის ერთი ნაწილი უკვე გაიგზავნა ბორჩალოს მაზრაში ყაჩაღთა ბრბოების გასადევნათ იქიდან.

◆ **საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ** გერმანიის სამხედრო საელჩოს უფროსს აცნობა, რომ მან განკარგულება გასცა ამიერ-კავკასიის რკინის გზის ლიანდაგზე ბაქოს მიმართულებით სადგურ ფოილოზე მტკვრის ხიდამდე და ყარსის ლიანდაგზე გვირაბის შუა ადგილამდე, სად. კარაკლისის და შაგალის შუა მთელი ტერიტორია დაკავებულ იქნას, თუმცა ყოფილ საქართველოს სამეფოს ისტორიული საზღვრები აღმოსავლეთის მხრით, რუსეთისა და საქართველოს შორის დადებულ 1783 წლის ტრაქტატის ძალით გაცილებით უფრო აღმოსავლეთით იყო.

◆ **მოწოდება.** ამხ. სანაპიროს მუშებისა და მოსამსახურეებისადმი. ამხანაგებო! დიდი ხანია მას შემდეგ, რაც თქვენ წითელი რაზმი შეადგინეთ, რომელიც თავგანწირვით იცავდა რევოლიუციასა და თავისუფლებას. დღეს, როდესაც ჩვენი ნორჩი რესპუბლიკა განსაცდელშია და მას ყოველ მხრიდან ემუქრებიან შინაური და გარეშე მტერნი, წითელ გვარდიის შტაბი მოგიწოდებს თქვენ ჩაეწეროთ წითელ გვარდიაში და შეუერთდეთ რკინის გზის მთავარ კომიტეტთან მომქმედ წითელ რაზმს.

წითელი რაზმის შტაბი.

◆ **ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამომცემლის** ანგარიშით: 1 იანვარს 1917 წელს იყო 1237 მ. 37 კ; მიმდინარე წლის 1 თებერვლამდე შემოვიდა კიდევ 1115 მ. 75 კ. ამ ჟამად არის 2353 მ. 12 კ. ეს ფული ინახება მიმდინარე ანგარიშით ქართულ საეროვნო ბანკში. ყველა დარჩენილი წიგნები გაიყიდა. არის მხოლოდ გამოცემის დიდი სურათები: 16 სურათი ღირს 5 მ.; სახელოვან კოლეგებს სურათები დაეთმობათ უფასოთ. მისამართი: ყორღანოვის ქ. 20, 12—2 და 6—8 საათი. ყოველ დღე კვირის გარდა.

## კრებები და მიტინგები.

16 თიბათვეს, დილის 10 საათზე, მუშათა კლუბში (მიხაილოვის ქუჩა) დანიშნულია თფილისის საამშენებლო მუშა-ხელოსანთა პროფესიონალური კავშირის წევრთა საზოგადო კრება.

— დღეს, 4 საათზე, დანიშნულია (რაიონის ბიუროს ბინაზე) შეერთებული სხდომა მესამე რაიონულ კოლექტივის წევრების და თფილისის კომიტეტის მიერ არჩეული სარევიზიო კომისიისა ამ რაიონში მომხდარ უთანხმოების გამოსარკვევათ. კოლექტივის წევრები ყველა აუცილებლათ უნდა დაესწრონ.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, მესამე სავაჭრო გიმნაზიაში, მოხდება საერთო კრება ყველა ამხ. სომეხ სოციალდემოკრატებისა.

— დღეს, 4 საათზე, შესდგება მესამე რაიონის ს. დ. მ. პ. კოლექტივის კრება.

# პროვინციის ქრონიკა

**ძ. სამტრედია.** 3 ივნისს სამხედრო-რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა სიკვდილით დასაჯა მიტროპაჯა ჯარისკაცი კონსტანტინე ჯიქიას სოფ. საჯავახოში სამინის საყდრით ჩამოსულ შორაპნელ გლეხების გაძარცვისათვის. ჯიქია დანაშაულში გამოტყდა. გამოირკვა, რომ მას კიდევ მრავალი თავდასხმა მოუხდენია. განაჩენის სისრულეში მოსაყვანათ ჯიქია იმ დღესვე გაგზავნეს ქუთაისში.

— სამტრედიის რაიონის მიწა მამულების ჩამომრთმევი კომისია ს. იანეთიდან გადავიდა ს. დიდ ჯიხაიშში, სადაც უკვე შეუდგა მამულების ჩაბარებას. ჯერ ჯერობით ჩაიბარა დიმიტრი ჩხიკვაძის მამული 38 დეს. გრძელდება ენერგიული მუშაობა. კომისიის მუშაობას გლეხები აღფრთოვანებით და თანაგრძნობით ხვდებიან.

# მეტი უნარი უნდა გამოვიჩინოთ

(ასოთ-ამწყობთა საყურადღებოთ).

წარსულ კვირას უნდა შემდგარიყო თფილისის ბეჭდვითი სიტყვის კავშირის წევრთა საზოგადო კრება, მაგრამ საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო აღარ შესდგა. კრება ხელმეორედ მოწვეულია დღეისთვის და კიდევ საჭიროა, დაესწრებიან თუ არა ამხანაგები ამ კრებას.

ოცი წლიწადია უმაგალითო ბრძოლას ვეწეოდით ჩვენ, მუშები, რუსეთის თვითმპყრობელურ მთავრობის წინააღმდეგ, დიდი მსხვერპლიც შევიწირავს: საუკეთესო ამხანაგებს ციხეებში ამოჰხდომიათ სული, არა დაჰკლებიათ ტანჯვა-წამება ციმბირსა და ცივ ქვეყნებში და სხვადასხვა. ამ ბრძოლას უნაყოფოდ არ ჩაუვლია: დაეცა ძველი მტარვალური მთავრობა და გამოცხადდა თავისუფლება, დიდი ხნის ნატვრა აღსრულდა.

არის თავისუფლება სიტყვისა, კრების, კავშირებისა და სხ. და თუ დღეს ჩვენ მაინც ვერა ვქმნით საჭირო ორგანიზაციებს, ვერ ვაწყობთ ჩვენს საქმეებს, რომ მით შევიმსუბუქოთ ცხოვრების უკულმართობის მიერ შექმნილი ცუდი პირობები, ეს კი ჩვენი ბრალია, მაჩვენებელია იმისა, რომ ჩვენ არ შეგვძლებია თავისუფლების მოხმარა, არ ვარგებულვართ უბადრუკნოთ.

ასოთ-ამწყობებს მთელს ქვეყანაზე მუშათა მოძრაობაში თუ პირველი არა, მეორე ადგილი მაინც სჭერიათ, და თუ დღეს ასე მოუწყობელი და სრულიად არეულ-დარეულია ჩვენი საქმეები თფილისში, რაღა იქნება სხვა დარგის მუშებში? სწორედ დღეს არის ისეთი მძიმე ხანა მუშათა კლასისათვის, რომლიდანაც გამოსვლა მეტად ძნელია და მხოლოდ მაგარ ორგანიზაციების შეერთებულ მოქმედებას შეუძლია ყოველგვარი გაჭირვების დაძლევა და მიხმარა მოპოვებულ თავისუფლებათა.

საჭიროა და აუცილებელია ჩვენ, ასოთ-ამწყობები ჩავუფიქრდეთ დღევანდელ მეტად მძიმე ხანას, სერიოზულათ მოვკიდოთ ხელი ჩვენი ორგანიზაციის გამაგრებას და ასე საერთო ძალით იქნებ მივაღწიოთ რაიმეს. საჭიროა დღეს ყველანი მოვიდეთ კრებაზე, ვიქონიოთ მსჯელობა საჭიროზოროტო კითხვებზე და ამოვარჩიოთ მომქმედ ამხანაგებისაგან გამგეობა.

ძველი გამგეობა, სჩანს, მეტად დაძველდა; ზოგიერთი მას წევრებს ხალისი დაჰკარგვიათ მუშაობისა. ამიტომ უნდა დროზე იქნას ზომები მიღებული, რომ განახლებულ იქმნას გამგეობა.

უნდა მხედველობაში მივიღოთ სხვა გარემოებაც: დღეს გამოცხადებულია საქართველოს რესპუბლიკა. ამას ჩვენს ამხანაგებშიაც მოეპოვებიან მოწინააღმდეგენი, რომელთაც შეიძლება რაიმე ზომებიც მიიღონ სამოქმედოთ. ამის შესახებ ბევრს არაფერს ვიტყვი ამ ჟამად, მხოლოდ ვაფრთხილებ ყველას—ჩაუფიქრდენ დღევანდელ მდგომარეობას, რომ დროზე მიღებულ იქმას ზომები ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ.

დასასრულ, დაბეჯითებით ვთხოვ ამხანაგებს კრებას ნუ დააკლდებიან და მით ხელს ნუ შეუწყობენ ჩვენში გამეფებულ უთავბოლობასა და ანარქიას.

ს. ვადაჭკორია.

# ქუთაისის აგ-კარვი

მომრიგებელი კამერა.

რევოლიუციამ სხვა მრავალ ორგან ზაციებთან ერთად წარმოშვა მომრიგებელი კამერაც. ამ ორგანიზაციის დანიშნულება იყო და არის კაპიტალსა და შრომას შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების მოწესრიგება, მშვიდობიანის გზით. ამ ორგანიზაციის შექმნას მოითხოვდა რევოლიუციის და მუშათა კლასის ინტერესები. ქუთაისის მუშათა საბჭომ რევოლიუციის პირველ დღეებშივე შექმნა მომრიგებელი კამერა. საბჭომ თავის წრიდან გამოყო მომრიგებელი კამერის წევრები, ამავე დროს მან მიმართა ვაჭარ-მრეწველთა ბიუროს, რომ მათაც გამოეგზავნათ წარმომადგენლები. ვაჭარ მრეწველთა ბიურომ დაიგვიანა წარმომადგენლების გამოგზავნა. ამ დროს მუშებს მრავალ დარგიდან მოდიოდა მოთხოვნილებები, რომლებიც მოითხოვდა პასუხის გაცემას. საქმის საჭიროებამ აიძულა ცალმხრივი კამერა, რომელიც მხოლოდ მუშების წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა, შედგომოდა მუშაობას. პირველი ერთი თვის განმავლობაში მუშაობდა შეძლებისდაგვარად ცალმხრივი კამერა და თერამეტ საქმეში, რომელიც ამ ხნის განმავლობაში შემოვიდა, 16 საქმე მორიგებით გათავდა. ხოლო დანარჩენი ორი საქმე, რომელიც მუშების ორი დიდი დარგის კოლექტიური მოთხოვნილებას წარმოადგენდა, დროებით გადიდო, ვიდრე სრულუფლებიანი კამერა არ შედგებოდა. მიუხედავათ საქმის გარჩევის დაგვიანებისა, ხსენებულ საქმეში გაფიცვას ადგილი არ ჰქონია. ასე, რომ პირველი ერთი თვის განმავლობაში ცალმხრივი მომრიგებელი კამერის მუშაობა იყო მეტად ნაყოფიერი. ერთი თვის შემდეგ ვაჭარ-მრეწველებმაც გამოგზავნეს წარმომადგენლები და შესდგა სრულ უფლებიანი კამერა. თავმჯდომარეთ მოწვეულ იქნა იურისტი ამხ. ვ. ქუთათელაძე და კანონიერი ორგანო შეუდგა მუშაობას. პირველ ხანებში ხსენებული ორგანიზაცია პირნათლად ასრულებდა დანიშნულებას. ორივე მხარის წარმომადგენლები ენერგიულათ ეკიდებოდენ საქმეებს, მაგრამ განვლო დრომ და ვაჭარ მრეწველთა წარმომადგენლებში აღმოჩდენ ისეთი პირები რომლებსაც არც იმდენათ აინტერესებდა თურმე საქმე, როდესაც მათ მოსთხოვეს მიზეზი არ მუშაობისა, მათი პასუხი ასეთი იყო: „თავმჯდომარე ყოველთვის მუშებს უდგება და ამიტომ ჩვენ არ გვინდა მუშაობაო". რომ მათი პასუხი სიყალბეზე იყო აშენებული, ამას ბალღიც კი დაინახავდა. თავმჯდომარე აქ არაფერ შუაში იყო. მით უმეტეს, რომ თავმჯდომარის მოწვევა მოხდა შეთანხმებით და იჩენდა მიუდგომლობას. ეს მიზეზი, რათქმა უნდა არ მიზეზობდა. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია მუშათა საბჭომ და კატეგორიულათ მოსთხოვა ვაჭარ-მრეწველთა ბიუროს, რომ თუ მათი წარმომადგენლები მომრიგებელ კამერის მუშაობაში მონაწილეობას არ მიიღებდენ, იმ შემთხვევაში ცალმხრივი კამერის მუშაობა და დადგენილებები მათთვის, როგორც მოპირდაპირესათვის იქნებოდა სავალდებულო. ამის შემდეგ ხსენებული მხარეც იძულებული გახდა მოსულიყო და შედგომოდა მუშაობას. ამ რიგათ ამ თხუთმეტი თვის განმავლობაში ხან კარგათ და ხან სუსტათ მუშაობა სისტემატიურათ მიმდინარეობდა. და თუ ამ უკანასკნელ ხანებში ამ ორგანოში მუშაობა მოისუსტებდა, ეს, ალბათ, გამოწვეული იყო საერთოდ იმ მდგომარეობით, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებოდით. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისის მუშები ყოველთვის დიდ ანგარიშს უწევდენ მომენტს და თავიანთ მოთხოვნილებებს ჯერ ყოველთვის კამერაში შემოიტანდნენ და უცდიდენ კამერის სიტყვას. მიუხედავათ იმისა, რომ ხშირად საქმის გარჩევა გვიანდებოდა, მუშები მაინც მოთმინებას იჩენდენ და გაფიცვისთვის არ მიუმართავთ. მართალია, ზოგიერთ დარგებში მოხდა გაფიცვა, მაგრამ ეს გამოწვეული იყო, ზოგიერთ „ხაზეინების" კაპრიზებით, რომელნიც კამერის დადგენილებას არ ემორჩილებოდენ.

კამერის დადგენილება თუ არ დაემორჩილებოდა ვინმე, მას ადმინისტრატიული წესით მოჰყავდათ სისრულეში. ასეთი იყო მოკლედ ამ ორგანიზაციის მუშაობა თხუთმეტი თვის განმავლობაში. როგორი იქნება შემდეგ, ამას მომავალი დაგვანახვებს.

ი. სადღმეტროველი.

# მოვალეობის მსხვერპლნი

მრავალი მსხვერპლი შეიწირა ომმა. განსაკუთრებით კი სამშობლოს და თავისუფლების სიყვარულით გატაცებულნი... 10 ივნისს ოზურგეთის ახლოს სოფ. ეწერში მტერთან ბრძოლაში დაეცენ მე-2 ქართ. მსრ. პოლკის მე-9 როტის ჩიხხათის საზოგ. (ოზურგეთის მაზრა) მოხალისენი: იაგორ ლევანის ძე გურგენიძე, ლავრენტი ტიკარაძე, მიხაკო ფიროლლი, გრიგოლ სარჯველაძე, კალისტე გურგენიძე, გიორგი გურგენიძე, ბართლომე ტიკარაძე ჩითანის ძე, ნიკო ტიკარაძე პავლეს ძე, პლატონ გურგენიძე, სოლომონ მშვიდობაძე, ილია ტიკარაძე დიმიტრის ძე, ასალო ტიკარაძე, ნესტორ გურგენიძე, ფილიპე ტულუში, ისაკ კვარენხილიძე, იაკინთე როყუა.

მათთან ერთად მოკლულ უნდა იყოს მე-12 როტის ოფიცერი პოდპრაპორჩიკი მირიანაშვილი და მეორე შავი ზღვის ბატალიონის ოფიცერი პრაპორჩიკი ჩხაიძე, რომელმაც პატარა ქალალდი აღმოაჩნდა გულის ჯიბეში თავისი ხელმოწერილი და დასათლამდებულია ცეკვა პოდპორ. მირიანაშვილი კი განისვენებს ძმათა სასაფლაოში. განისვენეთ საქართველოს შვილნო! თქვენ ვერ შეურიგდებოდით და არც შეურიგდით თქვენი სამშობლოს და თავისუფლების ურიდოებისაგან ფეხქვეშ გათელვას და შეპაცურათ ეგვიპეთ მტერს, მაგრამ ვაი ჩვენ ბრალი! ტყვიამ არ შეიბრალა თქვენ. მაგრამ თქვენი სახელი და ხსოვნა დაუვიწყარი იქნება როგორც ზავის მოიტანთა, სამშობლოსათვის და თავისუფლებისათვის თავდადებულთა.

მე 2 რგ. ქართ. მსრ. პოლკის მე 3 მე ბატალიონის ფერშალი იპოლიტე თავართქილაძე.

P. S. ეს ძვირფასი გვამები სხვადასხვა ადგილას იყო დამარხული. 7 მაისს მე 9 მე 10 და მე-11 როტის ჯარისკაცების დახმარებით ამოვასვენეთ და ერთ ადგილზე, გზის პირათ, ძმათა სასაფლაოში, დავასაფლავეთ. მათ შორის მარხია 12 ჩვენი ჯარისკაცი, რომლებმაც არავითარი საბუთი ნიშნები არ აღმოაჩნდა და ვერვინ ცნობს ვერ იცნო. დასაფლავების დროს მოვიყვანეთ მე 4 პოლკის მღვდელი გრიგოლ ბოლოგოვი, რომელმაც წესი აუგო. მოწყალების დებმა: ელენე ხუნდაძე-შვილის ასულმა და ფილომენე გოგუს ასულმა დიდი დახმარება გაგვიწიეს— პირველმა დაჭრილების ერთგულად წოვლის საქმეში მეორემ—სხვადასხვა მიცვალებულთა საფლავებზე ამოყვანება-დასაფლავებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკრაინაში

შემთხვევით ხელში ჩაგვივარდა „კიევსკაია მისლ"-ის 19 მაისის ნომერი.

მაისის პირველ რიცხვებში მომხდარი გადატრიალების შემდეგ, როგორც ამ გაზეთიდან სჩანს, ცხოვრება ვერ არის ნორმალურ კალაპოტში შესული. გეტმანის მთავრობას ხალხი უკმაყოფილოა. კიევის გუბერნიის მაზრების უმეტეს ნაწილში, როგორც საგუბერნიო კომენდანტის მიერ სამინისტროში წარდგენილ მოხსენებიდან სჩანს, ხალხი არ არის დაწყნარებული. რადომისლის მაზრაში გაჩენილა „ბანდა", რომელსაც იარაღი აუყრია მილიციისათვის და რაიონის უფროსის თანაშემწისთვის უცემიათ. ზვენიგოროდის მაზრაში სოფლელები ტყეებს სჩეხენ. გაუგზავნიათ დამსჯელი რაზმი. შეტაკების დროს წაურთმევიათ ორი ტყვიისმფრქვეველი და 250 თოფი. ჩიგირინის მაზრაში ძარცვა-გლეჯა გრძელდება. ქ. ჩიგირინში იარაღის აყრა დასრულდა. ახლა იარაღს ჰყრიან ხალხს მთელს მაზრაში.

ხარკოვის გუბერნიის ქ. სუმში დაუპატიმრებიათ საერობო ინსტრუქტორი, პოლტავაში დაუპატიმრებიათ სამაზრო-საერობო გამგეობის თავმჯდომარე, ნეჟინში—ამავე თანამდებობის პირი, სხვადასხვა ადგილებში აპატიმრებენ საერობო მოღვაწეებს თუ კომისრებს.

ნეჟინში აღუდგენიათ რევოლიუციამდე არსებული სამაზრო-საერობო გამგეობა. ახალი გამგეობის წევრები დაუპატიმრებიათ.

მთელი ძალა-უფლება ამ ჟამად უკრაინაში გეტმანის ხელშია, რომელიც გამოჰხატავს ეგრეთ წოდებული „ხლებორობების" ანუ მიწის მესაკუთრეთა ინტერესებს. გაზეთი მეთაურ წერილში ასე ახასიათებს „ხლებორობების" პოლიტიკურ მრწამსს.

„გავაუქმოთ... შევსცვალოთ... აღვადგინოთ... სამხედრო წესები შემოვიღოთ... უკრაინის საზღვრებიდან გადავასახლოთ. მთელი პოლიტიკური პროგრამა აშენებულია თვითმპყრობელობის მეთოდებზე—წყობილების ძალდატანებით გამაგრება. მემამულენი აშკარათ იცნებობენ რეფორმამდე არსებული წესების [illegible]ზე. მათი პოლიტიკური მსოფლ-მხედველობა იმდენათ ვიწროა, რომ ისინი ფიქრობენ, თითქოს რევოლიუცია „მავნე აგიტაციის შედეგი" იყოს და არა რთული ეკონომიური მიზეზებისა, რის მოსასპობათ არავითარი ზომების მიღებას არ აპირებენ. გააუქმე სასოფლო ერობა, გარეკე სამაზრო და საგუბერნიო ერობები, აგიტატორები გადაასახლე უკრაინის საზღვრებიდან და დამყარდება წეს-რიგი, მშვიდობიანობა და ბედნიერება".

აი, ასეთი ხალხის ხელშია დღეს უკრაინის ბედი!

# გურიაში

**გურიაში.** ოზურგეთის რაიონში ლტოლვილნი თანდათან ბრუნდებიან. მტრის მიერ დაპყრობილი ადგილები განადგურებულია, სრულიათ გაძარცულია. ზარალი გამოურკვეველია. ბევრი შენობები ოზურგეთში გადამწვარია. სურსათი გატაცებულია.

ოსმალეთის ჯარის დახევის გამო სოფ. აჭის და ნაცხ ვადევის მცხოვრებ აჭარლებში შიშიანობა ჩამოვარდა და იხიზნებიან. მიღებულია ზომები, ჩვენს საზღვრებში მყოფ აჭარელთა დასამშვიდებლათ.

დადგენილი იქნა სასწრაფოთ შესდგეს თავდაცვის კომიტეტი ანარქიის წინააღმდეგ საბრძოლველათ. დაარსდეს სარევ. ტრიბუნალი.

აირჩიეს ახალი კომიტეტი ზარალის რაოდენობის გამოსარკვევათ.

ნაიეს ყანებში ახალ ამოსულ სიმინდს მინდვრის „მგელი" სჭრის.

გადამდები სენი ფართე ხასიათს ღებულობს, ყველა სოფლებს ედება.

სოფლათ გაჭირვებული ხალხი ხილით იკვებება, რაიც ხელს უწყობს ეპიდემიის გაძლიერებას.

2 ივნისს, ძიმითში დაასაფლავეს ძველი მომუშავე, სიცოცხლით და ენერგიით სავსე გურიის ს. დ. კომიტეტის წევრი ბიქტორ ხელაძე, რომელიც დაიჭრა ხაშიის მინდორში. მისი დაჭრის მიზეზი გამოურკვეველია. ფიქრობენ, თავის თავი შემთხვევით დაიჭრაო, ამბობენ აგრეთვე, ხულიგანებმა მოჰკლესო. თვით კი სიკვდილამდე უთქვამს—დალოცვილმა დავისვენე და მესროლესო. მისი სიკვდილი დიდ მწუხარებას იწვევს გურიის ამხანაგებში.

3 ივნისს ჩოხატაურში მოასვენეს გიმნაზიის აღსაზრდელი მოსწავლე ამხ. თეოფანე შარაშიძე, რომელიც ჯარში იყო გაწვეული და უგზოოთ გადაცვლილა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო ზოგიერთ ადგილებში იმართება კრებები და ხალხი [illegible] ეცნობა.

...

**ნატანები.** ოზურგეთიდან ოსმალეთის ჯარი წავიდა თუ არა, მაშინვე გადმოხვეწილებმაც იწყეს დაბრუნება თავიანთ აოხრებულ და განადგურებულ სახლ-კარისკენ.

პირველ დღე[illegible] მგზავრები მოაწყდა [illegible] ნატანებს მატარებლით. პირველი დღე წვიმიანი ამინდი იყო. უბინაობის გამო ხალხი განსაცდელში ჩავარდა, რადგანაც სამგზავრო ტრანსპორტი არ იყო. ქვეითათ მგზავრობა ქალებსა და მცირეწლოვანებს არ შეეძლო. გადმოხვეწილები წვიმაში, გაშლილი ცის ქვეშ იყვნენ. გენ. მაზნიაშვილმა განკარგულება მოახდინა და ვაგონებში მოათავსა ხალხი. მეორე დღეს მგზავრებს ბედმა გაუღიმა, მზიანი ამინდი დაიჭირა. ბავშვები საბარგო ავტომობილებით გაამგზავრეს, მოზრდილები ქვეითათ გაემგზავრნენ.

ზოგნი მოსთქვამდენ: რა გვეშველება, მარტო სახლის კედლების ამარა, არავითარი ხელსაწყო და ჭურჭლეულობა არ მოგვეპოვება და არც რამე დაგვხვდება სახლშიო. არც საკვები სანოვაგე გაგვაჩნიაო.

ნატანების რაიონში და მერიაში ყანების თესვას შეუდგენ; თუმც დაგვიანებულია, მაგრამ მაინც იმედს არ ჰკარგვენ, ეგებ ამინდებმა ხელი შეუწყოს და ცოტა მოსავალი მოგვცესო.

„გაჭირვებულს ქვა ალმასში დაეწიაო" ნათქვამია, ასე დაემართა ოზურგეთის მცხოვრებთ. ოზურგეთ ნატანებს შუა საბარგო ავტომობილი სურსათს აწვდიდა ოზურგეთს, რომელიც ნატანებიდან დატვირთული წავიდა და სამი ვერსის მოშორებით ხიდზე დაზიანდა. მსხვერპლი არაა. სურსათის გადატანა შეფერხდა.

ყველა ორგანიზაციებს დიდი ენერგიის გამოჩენა მართებთ ამ განადგურებულ რაიონებში, რომ ხალხს დახმარება გაუწიონ.

ივაკი გიორგაძე.

# სათავად-მამულო რეფორმა

**ს. უფლისციხე,** (მეჯვრისხევის რაიონი). 21 მაისს გორიდან აქ მოვიდა მიწების ჩამომრთმევი მეორე კომისია ი. დავით[illegible]ვის თავმჯდომარეობით, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ბევრს ეგონა, ისე ადვილი არ ყოფილა მიწების ჩამორთმევა. ჩვენ ცნობები გვაქვს მაგალითათ ხარჯის ამკრეფი ინსპექტორებიდან: ამა და ამ სოფელში ამდენი დესეტინა მიწა აქვს მემამულესო, მაგრამ ხსენებული ცნობები რომ შეუკრებიათ, შემდეგ რამოდენიმე თაობა გადასულა, ის მამულები დანაწილებულია, ზოგიც გაყიდულია გლეხებზე, რაც მოითხოვს ხელ-ახლათ რთულ მუშაობას, ხსენებულ სოფელში 127 კომლი მცხოვრებია, სარწმუნოებით ყველა სომეხი-გრიგორიანები, მხოლოდ სომხური არც ერთმა არ იცის, ყველა ქართულათ ლაპარაკობს. მიწა ძლიერ მშრალია, [illegible]. თუ წვიმიანი წელი არ შეხვდა, არც პური მოდის, რის გამოც მცხოვრებნი მეტის მეტ სიღარიბეს განიცდიან.

მეტად საინტერესოა ამ სოფლის ბუნებრივი მდებარეობა: იქვე ახლოს გადმოჰყურებს დიდი მაღალი კლდე. იქ ყოფილა ძველათ ციხე-სიმაგრეები, არის გამოქვაბულები, სასახლე ყოფილა, ეკლესია. გაივლი ცოტას და შეხვდები აუზებს. იქ აბანო ყოფილა; მე არ მგონია, რომ მისი გაკეთება შეიძლებოდეს თანამედროვე ხანაშიაც კი; არის ერთი არაჩვეულებრივი გამოქვაბული,—ამბობენ აქ თამარის კოშკი იყოო; რამდენათ დაინტერესდები და გინდა გაიგო, იმდენათ სხვადასხვა ლეგენდებს მოგითხრობენ.

ამ სოფელში მივიღეთ სულ 648 დესეტინა მიწა ერისთავებისა. შემდეგ გავემგზავრეთ სოფელ შაშვებში, იქ უფრო მდიდარი ბუნებაა, ხალხიც არ ცხოვრობს ღარიბათ, მხოლოდ კულტურულად ყველგან ჩამორჩენილი არიან. თითო სოფელში ორ კაცს ვერ შეხვდებით, რომ იცოდეს ქართული წერა-კითხვაც-კი, აქ მივიღეთ სულ 683 დესეტინა მიწა ამილახვრებისა და თუმანოვებისა. შემდეგ კომისია გაემგზავრა სოფელ ნაწრეთში. იქ მივიღეთ 742 დეს. მიწა. სოფ. ავაზანში მივიღეთ 622 დესეტინა. სვენეთში ძლიერ რთული საშუშევარი შეგვხვდა. სულ აქ თვრამეტი წვრილი მემამულე, შატბერაშვილები,—ისე დანაწილებული აქვთ ადგილები ას-ას ნაჭრათ, რომ თითეულს 15-დან 18 უნდა მოუზომოთ, რომ შვიდი დესეტინა დარჩეს. საერთოდ გლეხებში ყველგან დიდი აღფრთოვანებაა. კანონს ყველა ემორჩილება, მხოლოდ ზოგ ერთ შემთხვევაში თითეულ ხუთჯერ უნდა აუხსნა, რომ გააგებინოთ ისი შინაარსი. გლეხებში ყველგან წესიერებაა დაცული; ზოგიერთ ალაგას გამოჩნდება ნასალდათარი ბოლშევიკები, რომლებიც მოითხოვენ: მემამულეებს არაფერი არ დარჩეს და ჩამორთმეული მიწები ახლავე—ხალხს გადაეცეს კერძო საკუთრებათო. ამას ისინი ეძახიან ნაციონალიზაციას, მაგრამ ამ უკანასკნელების გავლენა იმდენათ სუსტია ხალხში თავის „კარგი" წარსული მოქმედებით, რომ ხშირათ იტყვის ხოლმე გლეხი: მათ წინააღმდეგ საჭიროა მკაცრი ზომები და მაგარი მთავრობაო. დიახ, გლეხი მოითხოვს მაგარ მთავრობას, მაგრამ, არა ძველ „პრისტავებს" თავის მათრახებით, როგორც ამას „საქართველო" გვარწმუნებდა, არამედ—მაგარ რევოლიუციონურ მთავრობას კონტრრევოლიუციონერებისა და ანარქისტების წინააღმდეგ.

ს. სვენეთიდან კომისიამ მოიარა რეხაში, ბადაბეთში, ბერბუკში სხვა სოფლები.

ბ. კ—ძე.

# მზეთამზე

(ძლევად ქართველს ერს)

I

ვის უნახავს მზეთამზე,
სილამაზის ხატება?!
თვისი მშვენიერებით
ედემს ელემეტება.
ერთხელ თვალი ვინც მოჰკრა,
გულში ჩაეხატება.
მკერდ-მოთეთრებულს, ყელ ზურმუხტს,
ლურჯ სივრცეში [illegible],
ორ ბუმბერაზ მთათა შორის
ნაზ დედოფლად დასმულსა,—
სხივთ გვირგვინი ადგია
ისე, ვით მზის ასულსა!
სარკეთ ფირუზის ცა აქვს
და სა[illegible]—მზეფერი;
ფარეშ[illegible] ცისკარი ჰყავს
და ლამაზობს მზეთამზე...
იცით, მაზე რას ამბობს
გადმოცემა ზეპირი?

II

ძველად, უხსოვარ დროში,
როს მზე მოსწყდა [illegible],—
ერთი კოშკი ამოხდა
ამ სამოთხე არესა;
თავს ვარსკვლავთ [illegible] ხვევდა
სხივებ მონარნარესა.
შიგ ცხოვრობდა მოხუცი,
ყავდა მხოლოდ ასული,
ტან-წერწეტი, პირ-[illegible],
როგორც ალვა, [illegible]...
მას ნაკლს ვერ უპოვიდა
თვით დემონი ავსული.
მზეთამზესა ეძახდენ
და მართლაც რომ მზეობდა.
მისი თვალთა ელვისგან
ბნელი ღამეც დღეობდა.
მიწიერ არსს არ ჰგავდა,
ვით ცის შვილი, [illegible]ობდა.
როს დილის მზე, ცხრა-თვალა,
სხივებს შორს გა[illegible]ცნიდა,
ბამბის ქულა თეთრ ღრუბლებს
ვარდის ფრად ჩა[illegible]ცნიდა
და თმა-ხუჭუჭ მწვერვალებს
ნისლთ ფარდას ჩამოხსნიდა,—
ისიც ცივ ნაკადულებს
დაუვლიდა ცქრიალით,
რაკრაკებდა, ფიქლები
ბანს აძლევდენ [illegible]
და სტკბებოდა მიდამო
უცხო ჰანგთა წკრიალით.

III

ერთხელ, როცა მზეთამზე
ჩანჩქერში ბანაობდა,
ხან ტკბილად კისკისებდა,
ხან ჩუმათ ნანაობდა
და მისი გიშრის თმები
ტალღებში ქანაობდა,—
თვალი მოჰკრა შორით მზემ,
ტრფობის ქსელში გაება,
შედგა, დიდხანს უცქირა,
თითქო მასთან დაება...
ბოლოს გზნებით შესძახა:
„შენ ხარ ჩემი ღვთაება!"
შვიდ ფერ სხივთ თაიგული
ოქროს ძაფით შეკონა,
ძღვნათ მიართვა გულის სწორს;
ისიც ზედ დაეკონა;
თუ უეცრად დასწვავდა
ბედკრულს, ეს რა ეგონა.
მაგრამ რა მიეკარა,
ვით ალი აპრიალდა,
დადნა და ალმასებად
მიწაზე დაცქრიალდა
და სხივებზე ათასფრათ
ფერთ აციალდა.
და მას შემდეგ იმ ადგილს
მზე თვალს ვეღარ აშორებს,
მუდამ თავს დაჰ[illegible],
ჯანყს და ბურუსს აშორებს,
ლალ-ზურმუხტებით მორთავს,
ედემსაც კი აშვენებს.

IV

ეს ხომ საქართველოა,
ჩვენი დედა, მშობელი,
სიყვარულის—მიწიერი,
სილამაზის—[illegible],
დღეს მტრისგან [illegible],
თავის ბედის [illegible]!
ეი, ქართველთ ერო,
ამ ედემში შობილო,
მრავალ ჭირის მნახველო,
ტანჯვის ცეცხლში წრთობილო,
დღეს რომ დაგებედება,
ძველათ გმირათ ცნობილო!
როს შენი მზე მოდის,
ბნელი დღე გითენდება,
დაქცეული ოჯახი,
ხელახლა გიშენდება,—
რატომ ვერ გრძნობ, გონება
ისე რათ გიბნელდება?!
გამოფხიზლდი! გმირულათ
ეძებე ბედს, მოსულს!
მხოლოდ ამით აიცდენ
სიკვდილს, შენზე მოსულს!
შეხვალ შვების ტაძარში,
ტანს ჩაიცვამ [illegible]!

ვ. რუხაძე.

# თათარ-ხევსურთა ურთიერთობა თელავის მაზრაში

მიწის მოუწესრიგებლობამ ამ მოკლე ხანში ათი კაცი იმსხვერპლა,—მთელი სოფლის საუკეთესო შვილები. თელავიდან ხუთი ვერსზე მდებარეობს თათრის სოფელი კარაჯალა. მცხოვრებთა რიცხვი ოთხას კომლს აღემატება. ამოდენა სოფელი გაშლილია სხვის მამულში. ეს მიწა ოთხასი დესეტინამდე იქნება; თათრებს პატარა ნაჭრებათ დაუნაწილებიათ იგი და სახლ-კარი მოუწყვიათ. ყოველ წლივ მიწის სარგებლობა კარაჯალელებს 1200 მან. უჯდებოდა და ამ ფულს მემამულე მგალობლიშვილს უხდიდენ. მხოლოდ თავისუფლების გამოცხადების შემდეგ იჯარა მოსპეს. მათ გაჭირვებულ მდგომარეობაში ძველი მთავრობაც შევიდა და გომბორის ჩრდილო კალთებზე საძოვარი ადგილი მიუჩინა ოთხას დესეტინაზე ცოტა მეტი. ამ რიგათ შეეთანა რიცხვით თითო კომლზე ორი დესეტინა ძლივს მოდის.

მეორე მხრით ხევსურთა უმწეო მდგომარეობაც მიწის მხრით კარგათ ცნობილია. ისინი ხალისით წავლენ „თუ გინდ ჯოჯოხეთს", ოღონდ დაიმედოთ, საკმაო მიწა გექნებათო.

ამა საუკუნის დასაწყისში თიანეთის მაზრის შევიწროებული ხევსურები თელავის მიდამოებში გადმოსახლდენ. მათ აქ დაიკავეს თვალწარმტაცი ბუნებიანი ნადიკარი და სირადონი. გადმოსახლებულთა აქ შედარებით მიწაც ბლომათ მიუზომეს: სახნავი, სათესი, საძოვარი და ტყე. მაგრამ ვინაიდან ხევსურებმა მეტი ნაწილი მოხნეს, ამიტომ საქონელი მშიერი დაუჩათ და საჭირო შეიქნა ახალი მიწების ძებნა. შორს წასვლა არ მოუნდათ, რადგანაც ზემოთ დასახელებული საძოვარი მიწები, რომელიც მთავრობამ კარაჯალას თათრებს იჯარით გადასცა, ზედ სირადონზე არის მიკრული, და თავიანთი საქონელიც აქეთკენ გამორეკეს ხევსურებმა საძოვრათ.

სირადონ-ნადიკარის ხევსურების მაგალითს შემდეგ მათ თანამემამულეებმაც წაბაძეს და თიანეთიდან გადმოსახლება იწყეს. ამ რიგათ დღეს დღეობით ხევსურები თელავის მაზრაში ცხრა ადგილას არიან დასახლებული. ესენია: აყუდ-ბულე, თეთრის წყალი, ბოძიელი, სირადონი, ნაიური, საგანძილე, ნადიკარი, ვილობანი და ხორხა.

სირადონელ და ნადიკარ ხევსურთ გარდა არავინ არ ვის დაკითხვია, თუ სად დასახლებულიყო: მათ თავის ნებით და სურვილით აირჩიეს ადგილები.

ერთ ერთი ზემოთ დასახლებული სოფელი—ხორხა—სირადონის დამყვრი ალაგს მოთავსდა და რადგანაც ხორხაც ზედ ეკვრის კარაჯალელ თათრების მიერ აღებულ საძოვარს, ამან მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა.

ამ ნიადაგზე არა ერთხელ ყოფილა უთანხმოება. ეს უთანხმოება თანდათან გაზვიადდა და წრეულს შეიარაღებულ შეტაკების სახით მოგვევლინა, რასაც საშინელი სისხლის ღვრა მოყვა.

რევოლიუციის შემდეგ დემოკრატიულ მთავრობამ ეს მეორეჯერ არის, რომ კომისია გაგზავნა ამ ორი ხალხის საქმის მოსაგვარებლად.

შარშან ადვილათ მოვარიგეთ გადამტერებული მეზობლები. მაშინ თათრებმა შედარებით მეტი საზოგადოებრივი გრძნობა გამოიჩინეს და ხევსურებს ბევრი დაუთმეს. მაშინდელი მორიგების ძალით ხევსურები თავიანთ საქონელს აძოვებდენ თათართა მიწის ერთ-ერთ ნაჭერზე.

მაგრამ ამის ნება განსაზღვრული იყო ვადით, რაიც ჩვენ დავუკავშირეთ დამფუძნებელ კრებას.

ჩვენ ორივე მხარეს განვუმარტეთ—და ამაში ბეჯითად დარწმუნებული ვიყავით,—რომ ხალხის წარმომადგენლები პეტროგრადში ჩამოსვლის უმალ მიწის საკითხს გადაჭრიან მომუშავეთა სასარგებლოთ და მანამდი კი მოთმინება გვქირია-თქო.

რადგანაც დამფუძნებელ კრების მოწვევამდე მაშინ ორი თვე და იყო დარჩენილი, უარი არ გვითხრეს და შეთანხმებას ხელი მოაწერეს.

სამწუხაროთ ჩვენი დაპირება არ გამართლდა, ვინაიდან გაძლიერებულმა ანარქიამ და შემდეგ 25 ოქტომბრის ამბებმა ყველაფერი ყირამალა დააყენა.

ამრიგათ ჩვენ დაპირება ვერ შევასრულეთ და, რადგანაც ხევსურებს დამფუძნებელ კრებამდე მინიჭებული ქონდათ საძოვრის უფლება, მათ ეს უფლება სამართლიანათ ამ წლეშიაც შეირჩინეს.

მეორე მხრით თათრებსაც არ შეეძლოთ არსებულ მდგომარეობის ატანა; მოთმინების ფიალა აივსო და თავშიაც იგრძნეს. [illegible]რები თათრებს ახვევენ ყველაფერს [illegible], თათრები კი ხევსურებს და რადგანაც გარეშე, მიუდგომელი პირი, არ დასწრებია ამ საშინელ ამბავს, ჭეშმარიტების აღდგენა სძნელოთ შეიქნა.

მაგრამ გაგზავნილმა კომისიამ ყოველი ღონე იხმარა და შედეგების დაგვარათ გამორკვია მდგომარეობა, რაიც მოხსენების სახით წარუდგინა მთავრობას.

გადაჭრით არ არის ნათქვამი, თუ ვინ დაარღვია პირველათ მშვიდობიანობა და ეს არც არის საჭირო, ვინაიდან, მთავარი მიზეზი რომ [illegible], არავითარ შეტაკებას ალაგი არ ექნებოდა.

ყოველ შემთხვევაში გაუგებრობას [illegible] ქონდა ალაგი.

თავის დროზე თელავის სამაზრო-აღმასრულებელმა კომიტეტმა კარაჯალელთ წინადადება მისცა თავიანთი წარმომადგენელი აერჩიათ, რომელიც კომიტეტის წევრებთან ერთათ სადაო ადგილს გაემგზავრებოდენ 17 მაისს.

კარაჯალელებმა ეს წინადადება შეასრულეს, მაგრამ ამავე დროს თავიანთ შორის 15 კაცი აირჩიეს და ამათ კომისრის მეთაურობით დაავალეს დაეთვალიერებიათ საძოვარი ადგილები.

ამ ნაბიჯს შემდეგი მოსაზრებებით ხსნიდენ კარაჯალელები. ჩვენთან მოვიდა სამი ხევსური და გვითხრა, რომ მათი მეზობლები აძოვებენ საქონელს ჩვენს მიწაზე და ამავე დროს ქოხებსაც აშენებენო. ჩვენ ამას არ მივაქციეთ ყურადღება, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ ამგვარივე ცნობა მოგვიტანა ვარდისუბნის მცხოვრებლებმაც. უკანასკნელათ ჩვენ დახმარებაც აღვუთქვეს ხევსურებთან მოლაპარაკეაში. ხოლო, როდესაც დანიშნულ დღეს, 16 მაისს, ჩვენ გავუგზავნეთ მათ უარი გვითხრეს. ამავე დროს ვილაც ბოროტ განზრახველებს ხევსურებისათვის ეცნობებია, თითქო ჩვენ დასაცემათ და მათ გასანადგურებლათ მივდიოდით. ხევსურებიც დასახვედრათ მომზადებულიყვნენ და მივედით, თუ არა სროლა აგვიტეხესო.

კომისიის აზრით, კარაჯალელნი აქ სრულ სიმართლეს არ ლაპარაკობენ. ხევსურები რომ სარგებლობენ მათი საძოვრით ეს ყველასათვის ცნობილი იყო. კომისიამ შარშნვე ადგილობრივ დარწმუნდა, რომ ხევსურები თათრების ადგილზე ხვნა თესვასაც ეწეოდენ. ამიტომ სრულიად არ იყო საჭირო იქ წასვლა თათრების მხრივ ამ გარემოების შესამოწმებლათ. ეს რომც დავიჯეროთ, მაინც გაუგებარია, რა საჭირო იყო 15 შეიარაღებული კაცის გაგზავნა, როდესაც ამ მარტივ დავალებას სამი შეუარაღებელი კაციც შეასრულებდა.

მეორე მხრით იწვევს ეჭვს ის გარემოებაც, რომ კარაჯალელთ მოუნდათ წასვლა 16 მაისს, როდესაც იცოდენ, რომ მეორე დღეს, 17 მაისს, თელავის სამაზრო-აღმასრულებელი კომიტეტი მიემგზავრება მათ წარმომადგენლებთან ერთათ მიწის საკითხის მოსაწესრიგებლათ.

კარაჯალელთ ჩვენი იჭვები გავუზიარეთ 7 ივნისის მიტინგზე, მაგრამ მათ ვერ შესძლეს ბრალის გაფანტვა და თავიანთი უდანაშაულობა გულწრფელათ ამტკიცეს, თუმცაღა რიცხვების არევა ახალ სტილს დააბრალეს.

კომისიამ ყველაფერი ნაამბობი და ნახული აწონ-დაწონა და დაავალა თელავის სამაზრო-აღმასრულებელ კომიტეტს [illegible] ადმინისტრაციასთან ერთათ დაუყონებლივ მიწის საკითხი მოაგვაროს ამ ორ ერთა შორის. თუ ეს ნაბიჯი ეხლავე გადადგმულ არ იქნა, კომისიის აზრით, სისხლის ღვრა აუცილებელია და შეიძლება ამან მდგომარეობა ისე გაამწვავოს, რომ მოკლე ხანში მისი მოგვარებაც ვერ მოვახერხოთ.

პ. კახიანი.

# სოც.-დემ. პარტიაში

**ნატანების** (გურია) ს.-დ. რაიონული კოლექტივი ამით აცხადებს პარტიის ყველა წევრების საყურადღებოთ, რომ ის ხმები, რომელიც გავრცელდა ნესტორ გოთუასა და გრიგოლ ნიკოლაიშვილის შესახებ, ვითომ მათ პროვოკაციით არევ-დარევა შეეტანოთ სოფელში და ხელი შეეწყოთ სოფლელებისათვის კარ-მიდამოს დატოვებაში—არ გამოდგა მართალი. მართალია, 14 მაისს მცხოვრებნი გავიდენ სოფლიდან, მაგრამ ხსენებულ პირებს ამაში არავითარი დანაშაული არ მიუძღვით. გავრცელებული ხმები განზრახ არის შეთხზული, რომ მათი პრესტიჟი დასცენ და სახელი გაუტეხონ ხალხის თვალში.

ნატანების ს.-დ. რაიონული კოლექტივი.

**თფილისი.** 3 ივნისს მეექვსე რაიონის 4 სამილიციო უბნის ქალთა მცირე კოლექტივის ინიციატორობით შესდგა მეოთხე სამილიციო უბნის პარტიულ და თანამგრძნობ ქალთა კრება. ამხ. მ. ზურაბიანმა და მის. ტოროშელიძემ გააცნეს დამსწრეთ მომენტი. მოხსენების შემდეგ ერთხმათ იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია: „მეექვსე რაიონის 4 სამილ. უბნის ქალთა კრებამ მოისმინა რა მოხსენება მომენტის შესახებ, დაადგინა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა თავდაცვის საქმეში, რითაც კი შეუძლია".

**თფილისის რკ. გზ. სამმართველო.** 11 ივნისს მოხდა სამმართველოს პარტიის წევრების კოლექტივის სხდომა. პირველი საკითხი იყო მტკიცე მთავრობის შექმნა. მოხსენება გააკეთა კოლექტივის თავმჯდომარემ ამხ. ახათიანმა, რომელმაც გადმოგვცა მოკლეთ ამ საკითხზე საბჭოების და აღმასრულებელ კომიტეტების შეხედულობა და გადაწყვეტილება. კამათიდან და მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ეს გადაწყვეტილება სხვადასხვა ჯურის ნაციონალისტებმა და რევოლიუციის მტრებმა თავის სასარგებლოთ გამოიყენეს და ხელს უწყობენ ყოველგვარ პროვოკაციულ და საზიანო მოქმედებას. იქნა რა ყოველმხრივ გამოქვეყნებული ეს საკითხი, გამოირკვა, რომ საბჭოებმა [illegible]

ჩვენივე ღირსეულ წინამძღოლებისაგან ხელში ილოს საქართველოს რესპუბლიკის საქმე და ყოველივე უფლებებით აღჭურვილს დემოკრატიულ მონაპოვართა გადასარჩენათ, ამიტომ კოლექტივი საქმეების გადაწყვეტილებას ამ საკითხის გამო · სცნობს დროს შესაფერისათ და იწონებს რა ამ ნაბიჯს, ყოველი ღონით ეცდება მის ცხოვრებაში გატარებას. გადაწყვეტილ იქნა აგრეთვე ხელი შევუწყოთ საქართველოს დამფუძნებელ კრების მოწვევის დაჩქარებას, რისთვისაც გაფართოვებულ იქნას ორგანიზაციული მუშაობა.

მსჯელობა იყო შესახებ მოსამსახურეთა შტატის შემცირებისა. ამ საკითხზე მოხსენების გასაკეთებლათ ცენტრალურ სარკინიგზო კომიტეტთან სხდომამ აირჩია ამხ. რუხაძე და მ. ფერაძე.

საქარელი მ

# მუშათა შორის

**ტფ. საქონლის სადგური.** საქონლის სადგურის მუშები მცირე ხელფასს იღებენ. მაშინ, როცა სხვა დარგის მუშებს თვეში 540 მანეთი ეძლევათ, სადგურის მუშათა თვიური ჯამაგირი 240 მანეთით არის განსაზღვრული. ეს მცირე ხელფასი პურის ფასსაც არ ყოფნის ისედაც ილაჯ-გაწყვეტილ მუშას და უკიდურეს გაჭირვებას განიცდის.

აქვე უნდა აღვნიშნო შემდეგი გარემოება: ამ საერთო სიძვირის დროს გაზეთის ფასმაც აიწია. ამით ისარგებლეს ზოგიერთ მუშებმა და აგიტაციას ეწევიან, ურჩევენ მუშებს არ გამოიწერონ გაზეთი და სხვ.

მოწინავე ამხანაგების დახმარებით აქ გახსნეს მუშათა კოოპერატიული სასადილო „შეღავათი“, რომელმაც დიდი სარგებლობა მოუტანა მუშებს და იხსნა ისინი სპეკულიანტების ბრჭყალებისაგან. ამ კოოპერატივის გამგეთ არჩეული არიან ამხ. ვასო ხარაბაძე და ნიკ. კობ ძე, რომლებიც პირნათლათ ასრულებენ ხალხისაგან დაკისრებულ მოვალეობას.

ხაშა ქრისტინეშვილი.

---

**თფილისის სადგური.** ამ რამდენიმე დღის წინათ კონდუქტორთა ბრიგადის კომიტეტმა დელეგაცია გაუგზავნა რკინის გზის მთავარ კომიტეტს და სთხოვა მიეცათ ის ფული, რომელიც მათ ერგებოდათ დეკრეტის ძალით 1 ენკენისთვიდან. დელეგაციას შეხვდა მთავარ კომიტეტის წევრი და იმავე სამმართველოს კომისარი ბერძენიშვილი. ჩვენ არ ვიცით რა პასუხი მისცა დელეგაციას ბერძენიშვილმა. დელეგაციის გადმოცემით კი, მან არა-საკადრისი სიტყვებით გამოისტუმრა დელეგაცია.

4 ივნისს კონდუქტორებმა მოიყარეს თავი და გაფიცვა გამოაცხადეს. ჩვენ ყველა ვგრძნობდით, თუ რა უბედურებას გვიქადდა ამ საბედისწერო მომენტში გაფიცვის გამოცხადება. მოწინავე ამხანაგების დახმარებით გაიმართა თათბირი. დამსწრენი ისე აღელვებული იყვნენ, რომ ძლივს შევძელით მათი დამშვიდება. თათბირზე მოხსენება გააკეთა მოძრაობის უფროსმა ჩ. აბელაშვილმა. იგი შეეხო დღევანდელ მდგომარეობას დაწვრილებით და მოუწოდა მოსამსახურეებს გაფიცვა შეეწყვიტათ. ილაპარაკეს ზოგიერთმა ორატორებმა. კრებამ სიტყვის ნება მისცა ამხანაგ მ. არველაძეს, რომელმაც მოუწოდა კრებას მოიხადოს საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკის წინაშე მოქალაქობრივი ვალი. ილაპარაკა ამხ. რაბიტონ კალანდაძემ, რომელმაც მოუწოდა დამსწრეთ ექვსი დღე კიდევ მოითმინათ და მუშაობა დაეწყოთ. ამხანაგ არველაძეს შემოაქვს ასეთი წინადადება: მოისმინა რა ამხანაგებისაგან, თუ რა პირობებში ვიმყოფებით დღეს, კრება ადგენს: მივსცეთ ექვსი დღის ვადა რკინის გზის მთავარ კომიტეტს, შეადგინოს ფულის დასარიგებელი სიები; მიეცეს წინადადება მოძრაობის უფროსს, რომ ერთდა იმავე დროს იქნას შედგენილი ფულის დასარიგებელი სიები ყველა მოსამსახურეთათვის, რომ განსაკუთრებული უპირატესობით არავინ სარგებლობდეს; მიეცეს წინადადება რკინის გზის მთავარ კომიტეტს კონტროლი გაუწიოს ადმინისტრაციის მოქმედებას; კრება სთხოვს ამხ. ბერძენიშვილს განმარტებას მართლა მოიხსენია მოსამსახურეები შეუფერებელი კილოთი, თუ არა.

ე. გ.

# აბასთუმანი

საზივო ხელშეკრულობით ჩვენ ჩამოგვაშორეს ახალქალაქის მაზრა და ახალციხის მაზრის ნაწილი. ჩვენ დაგვრჩა მხოლოდ აწყური და აბასთუმანი. აწყური დასახლებულია ქართველ მაჰმადიანებით. ქრისტიანი ქართველები იქ ძალიან ცოტაა. სტრატეგიულის მხრით აწყური არ წარმოადგენს მნიშვნელოვან პუნქტს.

სულ სხვაა აბასთუმანი. აბასთუმანი ზეკარის უღელტეხილის გასაღებაა და ამ მხრივ მას დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთ საქართველოსთვის. მაგრამ აბასთუმანი სხვა მხრივაც არის მნიშვნელოვანი. იგი უდიდესი აგარაკია მთელს კავკასიაში. მთელი წლის განმავლობაში გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ აბასთუმანი ნამდვილი სალხინო მომქმედია. ჩვენ სოფლის პურს ბევრს მოჰკავდა ჭლექიანებისთვის დაუშრეტელი სილაღეთ. გარდა ამისა აბასთუმანში არის ბუნებით თფილი მინერალური წყლები, რომელიც საუკეთესო სამკურნალო საშუალებაა ქარებით ავადმყოფთათვის. აქ არის: ფოსტა, კოოპერატივი, ლაზარეთი სამასი საწოლით (ამ ლაზარეთში იყო მოწყობილი ფერშლის კურსები) სასწავლებელი წითელი ჯვრის და ერობათა კავშირის სანატორიები, სახალხო სადაც მოთავსებული იყო პოლიტიკურ მუშაკებისათვის სანატორია. აქვე აშენებდა თავის სანატორიას ჭლექის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოება. აბასთუმანი გარს შემორტყმულია ფიჭვისა და ნაძვის გაუვალი ტყეებით.

ყველა ეს სიმდიდრე ჩვენს ხელში დარჩა. მხოლოდ საჭიროა ამთავითვე დაენიშნოს მას მცველი და მომვლელი. დღემდის იქ იდგა მაჰმადიანთა რაზმი. მე ვფიქრობ, რომ აბასთუმანი გაძარცული იქნება, მეტადრე სასახლე, რომელიც მილიონზე მეტ ღირებულებას შეადგენდა. აღდგენილი უნდა იქნას ყველა დაწესებულებები.

ქვაყუდელი.

# პროვინცია

**გომბორის რაიონი** (თფილისის მაზრა) გომბორი მდებარეობს ოცი ვერსის მანძილზე ს. ხაშმიდან. როდესაც გომბორს შუადი ვერსით მივუახლოვდით, ჩვენ წავაწყდით ათამდე ცხენოსან ჯარისკაცს. ჩვენს შეკითხვაზე, თუ რისთვის არიან ჩასაფრებული, მათ გვიპასუხეს, რომ ისინი ჩამოვიდენ სოფელში დედამიწის სანახავად. ცოტა მანძილზე გამოგვყვნენ, მაგრამ შემდეგ საჩქაროდ გაეშურენ გომბორისკენ, სადაც სდგას რუსების პოლკი, რომლისთვისაც ჩვენ იარაღი უნდა ჩამოგვერთმია საქართველოს ეროვნულ საბჭოს განკარგულებით. მე გავიფიქრე, ვაი თუ გაიგეს ჩვენი განზრახვები და მიდიან ამხანაგებს გასაფრთხილებლათ-თქო. მე დავედევნე მათ უკან და ვკითხე, თუ სად მიეჩქარებიან. მათ მიპასუხეს: თქვენ წითელი გვარდიის შტაბის წარმომადგენლები ხართ და მიდიხართ იარაღის ჩამოსართმევათ. ჩვენ კიდევ გვინდა ამხანაგები გავაფრთხილოთ და საწინააღმდეგოთ მოვამზადოთო. ამის შემდეგ მე ვამჯობინე პოლკში დაჩქარებით მისვლა. შორიდანვე დავინახე, რომ რაღაც მზადებაში იყვნენ. მე მათ აუუხსენი ჩვენი მისვლის მიზანი, რამაც სასურველი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა ჯარისკაცებზე. ერთმა სთქვა: კარგი გიქნია, რომ წინდაწინ მოხვედი და შეგვატყობიე, თორემ ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა სროლა აგვეტეხაო. ცოტა ხნის უკან დელეგატებიც მოვიდენ. დავიბარეთ აფიცრების შემადგენლობა და მოვახდინეთ წინასწარი კრება. კრებაზე გამოირკვა, რომ მათ არაფერი აქვთ საწინააღმდეგო იარაღის ჩაბარების, მხოლოდ გვთხოვეს მიგვეღო მხედველობაში, რომ გომბორისირგვლივ ცხოვრობენ თათრები, რომლებიც ემუქრებიან რუს მცხოვრებლებს და ამიტომ საჭიროა აქ სამხედრო ძალაო. ამას გარდა აფიცრებმა ერთხმად განაცხადეს: ჩვენ ყოველ შემთხვევაში მზათ ვართ დავიცვათ საქართველოს ტერიტორიაო. ამის შემდეგ გადავსწყვიტეთ მოგვეხდინა ადგილობრივ მცხოვრებლების და ჯარისკაცების კრება. ხალხი კრებას ბლომათ დაესწრო. უწინარეს ყოვლისა ჩვენ ავუხსენით მიზეზები საქართველოს გამოყოფისა, რათა გაგვეფანტა პროვოკაციული ხმები, რომელიც თურმე ძალზე გავრცელებულია მცხოვრებთა შორის. ხალხი კმაყოფილი დარჩა. ამის შემდეგ წავუკითხეთ გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნულ საბჭოსი ადგილობრივ პოლკის ქონების ჩამორთმევის შესახებ. ამ გარემოებამ გლეხები ძლიერ დაალონა, ვინაიდან იმათი აზრით, ერთი დღითაც არ შეიძლება მათი დატოვება უიარაღოდ, რადგან თათრის ბრბოები ემუქრებიან მათ. რადგან ამ საკითხის გადაწყვეტა იქ შეუძლებელი იყო, ჩვენ ვურჩიეთ გაეგზავნათ ჩვენთან ერთად სამხედრო მინისტრთან დელეგაცია მდგომარეობის ასახსნელად. ასეც მოიქცენ. კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ დაიცავენ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებს.

ვლ. კაკაბაძე.

---

**ზემო ქართლში.** ჩვენმა მოწოდებამ სოფლათ დარჩენილი ჯარისკაცების მობილიზაციის შესახებ ნაყოფი გამოიღო. არ გამართლდა ის ხმები, რომელსაც ყოველ გზაჯვარედინზე გაიძახიან: „მთავრობამ თუ სასტიკი ზომები არ მიიღო ომში არავინ წავაო“. როდესაც ხალხს უტყუარი საბუთებით დავანახეთ მოსალოდნელი საფრთხე ოსმალების შემოსევისა, მაშინ ყველა სოფელში ადგენდენ კრებებზე: დაუყოვნებლივ მივეშველოთ ფრონტზე მყოფ მებრძოლ ამხანაგებსო. რომ დადგენილება მარტო ქაღალდზე არ დარჩენილიყო კრებებზე ირჩევდენ სამ კაცს და იმათ ანდობდენ ჯარისკაცების ფრონტზე წასასვლელათ დარაზმვას. უნდა აღვნიშნო, რომ ახსნა-განმარტების შემდეგ ხალხი მთავრობას აღ არ უცქერის ცუდის თვალით. ყველა სოფელი სავალდებულოთ იღებს თავის სოფლიდან გასული ჯარისკაცები შეძლებისდა გვარათ უზრუნველყონ. სიმინდები უნდა გაუთოხნონ ჯარისკაცს ცოლშვილთ, სურსათი მიაწოდონ და თავის დროზე მოუმკონ და შეუნახონ პური. ამასთანავე ირჩევენ სასურსათო კომისიას, რომელმაც ფრონტზე გაგზავნათ უნდა შეაგროვოს შემოწირულება სოფელში ფულით იქნება ეს თუ სხვა რამეთი და ამავე დროს დაამზადოს რაც უმთავრესია პური.

ამ მხრით დიდი ენერგია გამოიჩინა ალის საზოგადოებამ. 21 მაისს არჩეულმა კომისიამ ჩამოუარა იარაღიან სალდათებს, ვისაც ჯერ-ჯერობით წასვლა არ არგუნა, იარაღი ჩამოართვა, გადასცა წასასვლელ ჯარისკაცს და 22 მაისს დაფდაფებით 62 კაცი ჩამოვიდა ხაშურში. რამოდენიმე კაცმა მიიღო იარაღი ხაშურის წითელ გვარდიის შტაბიდან და ღამის 11 საათზე მათი თხოვნით წავედით ბორჯომში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ წითელ გვარდიელებისადმი ჯარისკაცების მტრულ განწყობილებას ბოლო ეღება და ის ჯარისკაცები, რომლებსაც გვარდიელები დასანახათ ეჯავრებოდა, დღეს გვარდიელებთან ერთად მიდიან ფრონტზე ძმურათ ხელიხელ ჩაკიდებულნი თავისუფლებისა და სამშობლოს დასაცველათ.

ი. ყაჭიეშვილი.

---

**სამეგრელო.** ყველამ იცის, თუ რა სამწუხარო ამბებს ჰქონდა ადგილი ამას წინეთ სამეგრელოში. ეგრეთ წოდებული ბოლშევიკური გამოსვლები აქ მოხდა ცენტრიდან დაშორებულ და მივარდნილ ადგილებში. ეს ასედაც უნდა მომხდარიყო, რადგანაც იქ, სადაც ხალხი უფრო ჩამორჩენილია, სადაც გლეხები ვერ ერკვევიან თანამედროვე კითხვებში და მოკლებული არიან პარტიულ მუშაკების ახსნა-განმარტებას, სარგებლობენ პროვოკატორები, ცრუ სოციალისტები. სამეგრელოში მომხდარი ამბები არ არის მეგრელების შეგნების ნაყოფი. ეს ერთი მხრით ხალხის ჩამორჩენილობის ბრალია და აქაური პარტიულ ორგანიზაციების უმთავრესი ყურადღება ამ მხრივ უნდა იქნეს მიქცეული, რომ კარგათ შეიგნოს ხალხმა, თუ ვინ არის მისი მოყვარე და ვინ არის მტერი. ამ ბოლო დროს სამეგრელოს ხალხი თანდათან ერკვევა ბურუსიდან და გამოღვიძების გზას ადგა. ამხ. ევ. გეგეჭკორის მოგზაურობამ და სხვა მოწინავე პარტიულ ამხანაგების აქ ჩამოსვლამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო. სამეგრელო ახლა თანდათან მეტს აქტივობას იჩენს ყოველივე საქმეში. ანარქია აქ ბევრ ალაგას ჩაჰქრა და შორს არ არის ის დრო, რომ ყოველგან ჩაჰქრება იგი. იარაღის ჩამორთმევას დიდი აღტაცებით შეხვდა აქაური გლეხობა. ზოგიერთ სოფლებიდან თვითონ მოჰქონდათ მცხოვრებლებს იარაღები და კიდეც ძალიან ჩქარა ჩატარდა ეს განკარგულება სამეგრელოს უმეტეს ნაწილში. ამ უკანასკნელ ხანებში, მობილიზაციაც სასურველათ ტარდებოდა სამეგრელოში, დემობილიზაციის შემდეგ, დაბრუნებული ჯარისკაცები გაეშურენ ყანებისკენ. ყველა ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მიწა დაამუშავოს, რომ მომავალში მაინც აიცდინონ თავიდან შიმშილობა და ამაში ჯერ-ჯერობით ამინდიც ხელს უწყობს გლეხობას.

არის იმედი, რომ სამეგრელოს გლეხობა მალე მთლათ გამოფხიზლდება, მალე ფეხზე დადგება იგი და აქტიურ ოპოზიციაში ჩიუდგება ხალხისა და რევოლუციის მტრებს.

ხ. ძველაია.

---

**გორი.** 29 მაისს, გორის მუშათა დეპუტატთა საბჭომ სხვა რევოლუციონურ ორგანიზაციების და წითელგვარდიელთა შტაბების წარმომადგენლების თანდასწრებით იქონია მსჯელობა მიმდინარე მომენტის შესახებ. არჩეულ იქნა ხუთი კაცისაგან შემდგარი თავდაცვის შტაბი, განუსაზღვრელი უფლებებით. ამავე სხდომაზე მიღებულ იქნა წინადადება ამხ. ი. გაბუნიასი, რომ განსაკუთრებულ მომენტის გამო რევოლუციონური ტრიბუნალისთვის მიენიჭებიათ სამხედრო-საველე სასამართლოს უფლებები, ასე რომ, დღეიდან რევოლუციონურ ტრიბუნალს შეუძლია აშკარა მტრები ჩვენი ნორჩი რესპუბლიკისა და დემოკრატიისა სიკვდილით დასაჯოს.

კრების დახურვის შემდეგ მოხდა ახლათ არჩეულ თავდაცვის შტაბის სხდომა.

როგორც ქ. გორში, აგრეთვე გორის მაზრაშიც გამოიცა სავალდებულო დადგენილებანი და მოწოდებები. წესიერება გორში და მაზრაში ჯერ არ დარღვეულა. ქალაქს იცავენ წითელგვარდიელები და სამაზრო მილიციის რაზმი.

ხოხო ფოთელი.

# ცნობები

ჯარის კაცი კონსტანტინე იოსეს ძე ოდილავაძე მსახურებდა მეორე ქართული მსროლელი პოლკში ცხენოსან მზვერავ „კამანდაში“. უკანასკნელ ხანებში იყო ჩაქვში, ბათუმის აღების შემდეგ არავითარი ცნობები არ მოდის. თუ ვინმემ რამე იცით იმის შესახებ მაცნობეთ ამ მისამართით: თფილისი, ნიკოლოზის ქუჩა № 37 რადიო-ტელეგრამის სამმართველოში იასონ ოდილავაძეს.


# იყიდება
# მრგვალი ფიცრები ყუთისათვის

იკითხეთ „ერთობის“ რედაქციაში.



# ქართული კლუბი

კვირას, 16 ივნისს გაიმართება გ. ქუჩიშვილის

# დილა

1) ივ. გომართელი — ლექცია.
2) გ. ქუჩიშვილი — ახალი პოემა.
3) ვ. რუხაძე, გ. შინატეხელი და ვ. საათაშვილი.

# დეკლამაცია

ნ. გოცირიძე, გ. იორდანიშვილი და რ. ჯიბალია — სცენები. ილ. ქურხული — ხკრიპკა, ძმანი კავსაძენი — სიმღერები, ი. სალირაშვილი — თარი.

დასაწყისი დილის 12 საათზე.

ბილეთები იყიდება კასაში. გამგე ვ. საათაშვილი

---

29 მაისს, თფილისის სადგურზე მეორე კლასის ვაგონში დავკარგე ყვითელი ტყავის საფულე — რომელშიდაც იყო 113 მანეთი ფული, 1300 მანეთის ბარათი რკინისგზის სამოსწავლო ნაწილის გამგის მიერ მოცემული 750 მანეთის ბარათი სილიბისტრო თავართქილაძის მიერ მოცემული, 500 მანეთის ბარათი ე. გორდელაძის მიერ მოცემული, საბუთის ქაღალდი გვარდიელთა შტაბის მიერ მოცემული და ჯიბის წიგნაკი — მნახველს ვთხოვ ფული დაიტოვოს დანარჩენი კი გარდასცეს თფილისის სადგურზე წიგნების შკაფში ნიკიტა ჩიტაიას ან გერმანე შარშანიას. პატივისცემით ვასილ ქადიეშვილი. 2—2

---

**ექიმი ქალი რ. ხ. ზიშლი სახშვილია**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82. ტელ. № 9—26.

---

**ექიმი ნ. ა. ფოფხაძე**

მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ საღამოს 5—7 საათამდე.

გრაფის ქუჩა № 8. მონასელიძის ბინა.

---

**ექიმი ი. გ. ქონიევი.**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდისუბნის ქ. № 3.

---

**ექიმი ა. დ. ციციშვილი**

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, სად. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქ. № 14.

---

**ექიმი ლ. ი. ცაგარელი.**

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანს, ყოველ დღე დილის 8 ნახ.—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. სერგიევის ქუჩა 14, ბინა 2.

ტელეფონი 10—82.

---

სამკურნალო კაბინეთი

**ექიმი ალექსანდრე დავ. კაკალიანი**

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (814-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 118, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—26

---

**ექიმი ბ. დონხინი**

პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასსისენტი იღებს თვალის-ტკივილებით ავათმყოფებს დილის 9—12 ნახ. საათამდე, საღ. 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი 76 (ხაიკინის კბილის საექიმო).

ტელეფონი 7—38.

---

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 17—49.

---

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე**

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლ-ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია და მას საჟი. მისამართი: მოსკოვის ქუჩა № 11.

---

**დ. სახჩერეში ექიმის თანაშემწე გ. ბ. ლაშხი**

იღებს ავადმყოფებს, უკეთებს კანქვეშ ნემსებს ციებ-ცხელებიანს, სისხლ-ნაკლებიანს და სიფილისიანს უკეთებს მასაჟს, უცრის ყვავილს, უხვევს ჭრილობებს და ათაშავს. მისამართი: რკინის გზის სადგურთან აბრამიშვილის სახლებში.

**იქვე ექიმის თან. ქალი მ. პ. გაგარინა-ლაშხი** ლებულობს ავადმყოფ ქალებს და აძლევს დარიგებას.

---

**ექიმი გ. მ. მუხაძე**

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; ევანგელიკ-ლუთერ. ეკლესიის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77

---

# სახელმწიფო თეატრი

კვირას, 16 ივნისს, ქართველ მსახიობთა კავშირი დამსახურებულ მსახიობ

# ვიქტორ გამყრელიძის 30 წლის

სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავათ გამართავს

# სადღესასწაულო წარმოდგენას

წარმოდგენილი იქნება:

1
**პატარა კახი**
მესამე მოქმედება. აკაკისა.

2
**რაც გინახავს, ვეღარ ნახავ**
მეორე მოქ. ა. ცაგარლისა.

3.
**არივ-დარია**
ვოდევილი 1 მოქ. გუნიასი.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ბილეთები იყიდება „ძმურ ნუგეშში“ და სახელმწიფო თეატრის კასაში. 2—1

---

# სახალხო უნივერსიტეტი

(მიხეილის პროსპექტი № 91)

დღეს, დილის 10 საათზე დანიშნულია ბეჭდვითი საქმის მუშათა

# საზოგადო კრება.

დღის წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება, 2) სალიკვიდაციო ფულის მიცემა, 3) გამგეობის დამატებითი არჩევნები, 4) პროფ. საბჭოს წარმომად. არჩევნები, 5) სარევიზიო კომისიის არჩევნები და მორიგი კითხვები.

ვინაიდან ეს კრება მეორედ არის დანიშნული, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს, კრება კანონიერად ჩაითვლება.

გამგეობა.

---

# პატრონის ავათმყოფობის გამო

იყიდება ბიბლიოთეკა და მთელს რუსეთში და კავკასიაში ცნობილი მევენახეობისათვის მოწყობილი მეურნეობა და ამერიკული ვაზის ნამყენები

# კლდე-უგურულის

ფირმისა (ქუთაისში)

ხსენებული ფირმა 25 წელია არსებობს და დაჯილდოვებულია 35 მედალით. მყიდველი ისარგებლებს ყველა ამ ჯილდოთი.

---

# განცხადება.

ძლიერ საჩქაროდ საჭიროა ახლად გახსნილ სამტრედიის ქალაქის აფთიაქისთვის გამოცდილი

**პროვიზორი-ზამგე, მისი თანაშემწე და ორი გამოცდილი მოწაფე.**

თხოვნები მიიღება 20 ივნისამდე სამტრედიის ქალაქის გამგეობაში.

3—2 სამტრედიის ქალაქის გამგეობა.

---

# მომხმარებელთა საზოგადოება „ალორძინება“

ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 1 აპრილის საზოგადო კრების დადგენილების თანახმად საზოგადოების წევრებს 1917 წლის მოგებიდან პაიზე მიემატებათ 6%, და ნავაჭრზე 3% წევრებს მირიცხული თანხა დაემატება მათვე პაის. საზოგადოების წევრს, რომელსაც სურვილი აქვს 1917 წლის ნავაჭრზე „პრემია“ მიიღოს (თვითეულ ნავაჭრ მანეთზე 3 კაპ.) უნდა წარადგინოს საანგარიშო წიგნაკი და 1917 წლის ნავაჭრის ჩეკები იმ მაღაზიის კასაში, რომლიდანაც ის მუდმივათ ღებულობდა ყოველივე საჭირო საქონელს.

ჩეკები ჩაწყობილი უნდა იყოს პაკეტში, ხოლო პაკეტზე უნდა დააწერონ სავაჭრო წიგნაკის ნომერი. ჩეკები, რომლებიც თავის დროზე არ იქნება წარდგენილი დაკარგავენ მნიშვნელობას.

დირექცია.


მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.